სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ტესტები „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები“

1. **აღრიცხვა იყოფა:**

ა) ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად

ბ) პირველად და ორმაგ აღრიცხვად

გ) ეკონომიკურ და არაეკონომიკურ აღრიცხვად

დ) არც ერთ პასუხი არ არის სწორი

2. **ბუღალტრული აღრიცხვის საგანია:**

ა) საწარმოს აქტივები და მათგან მიღებული შემოსავლები

ბ) საწარმოს სამეურნეო საშუალებები (რესურსები), ამ საშუალებათა წარმოქმნის წყაროები და ამ საშუალებებსა და წყაროებში მომხდარი ცვლილებები, ანუ სამეურნეო პროცესები

გ) საწარმოს ფინანსური შედეგები

დ) საწარმოს პასივები და მათზე გაწეული ხარჯები

3. **სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს მიეკუთვნება:**

ა) ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, ნახევარფაბრიკატები

ბ) მზა პროდუქცია, სათბობი, საწვავი, სატრანსპორტო საშუალებები
გ) საქონელი, ტარა, ნახევარფაბრიკატები, მოთხოვნები და ვალდებულებები
დ) საწარმოს ძირითადი აქტივები

4. **ბუღალტრული ანგარიშის დანიშნულებაა:**
ა) ერთი გარკვეული თარიღისათვის, სტატიკურ მდგომარეობაში ასახოს საწარმოს აქტივები და პასივები (ვალდებულებები და კაპიტალი)
ბ) დინამიკაში ანუ მოძრაობაში ასახოს საწარმოს აქტივები და პასივები (ვალდებულებები და კაპიტალი)
გ) გვაჩვენოს მხოლოდ საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთები
დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

5. **ბალანსი წარმოადგენს ანგარიშგებას:**

ა) საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ

ბ) შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

გ) საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ

დ) მოგება-ზარალის შესახებ

6. **ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, რომელ ძირითად დაშვებებს ითვალისწინებს საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები?**

ა) დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო

ბ) შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე

გ) ანგარიშგების სამართლიანად შედგენა

დ) ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე

7. **ფინანსური ანგარიშგება არის:**

ა) ანგარიშები, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ოპერაციებს ასახავენ

ბ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შესახებ სრული სურათი.

გ) ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლითაც მიიღწევა ნაშთების დაზუსტება

დ) საწარმოს ფინანსები

8. **ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისად, რას ნიშნავს ინფორმაცის ნეიტრალურობა?**

ა) იგი შედგენილია მიკერძოების გარეშე.

ბ) ანგარიშგებაში ასახულია არაარსებითი ინფორმაცია

გ) იგი შედგენილია ყველას ინტერესების გათვალისწინებით

დ) არც ერთი პასუხი არა არის სწორი

9. **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება:**

ა) რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

ბ) რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება დათქმული თანხის გადახდით

გ) არ გულისხმობს რაიმე სახის პასუხისმგებლობას

დ) ყველა პასუხი სწორია

10. **დოკუმენტი უნდა გაფორმდეს:**

ა) სამეურნეო ოპერაციის მოხდენამდე

ბ) სამეურნეო ოპერაციის მოხდენისთანავე

გ) სამეურნეო ოპერაციის მოხდენის შემდეგ

დ) მხოლოდ ა) და ბ) პასუხია სწორი

11. **ქვემოთ ჩამოთვლილი საბალანსო მუხლებიდან პასივებს მიეკუთვნება:**

ა) ძირითადი საშუალებები

ბ) ნედლეული და მასალები

გ) გადასახდელი ხელფასები

დ) მოთხოვნები (დებიტორები)

12. **ქვემოთ ჩამოთვლილი საბალანსო მუხლებიდან აქტივებს მიეკუთვნება:**

ა) მზა პროდუქცია
ბ) საწესდებო კაპიტალი
გ) ვალდებულებები მიმწოდებლებთან
დ) საგადასახადო ვალდებულებები

13. ბუღალტრულ აღრიცხვაში ბალანსირების პრინციპი გამოიხატება ტოლობით:

ა) დებეტი = კრედიტს

ბ) ვალდებულებები = აქტივებს + საკუთარი კაპიტალი

გ) აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი

დ) აქტივები = პასივებს+ვალდებულებები

14. ანგარიშის მხარეებს ეწოდება:

ა) დებეტი და კრედიტი
ბ) აქტივი და პასივი
გ) მოგება და ზარალი
დ) შემოსავლები და ხარჯები

15. **მუდმივი ანგარიშები ეწოდება ისეთ ანგარიშებს:**

ა) რომლებზედაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთი არ რჩება

ბ) რომლებზედაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთი რჩება

გ) ნაშთის არსებობა დამოკიდებულია ბუღალტერზე

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

16. **დროებითი ანგარიშები ეწოდება ისეთ ანგარიშებს:**

ა) რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს იხურება და ნაშთი არ რჩება

ბ) რომლებზედაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთი რჩება

გ) დამოკიდებულია ბუღალტრის გადაწყვეტილებაზე

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

17. **ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანგარიშები ჯგუფდება:**

ა) აქტივების ამსახველ ანგარიშებად

ბ) ვალდებულებებისა და კაპიტალის ამსახველ ანგარიშებად

გ) ორივე პასუხი სწორია

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

18. **საბრუნავი საშუალებების ამსახველ ანგარიშებს მიეკუთვნება:**

ა) მარაგების ანგარიშები

ბ)კაპიტალის ანგარიშები

გ) ხარჯების ანგარიშები

დ) შემოსავლების ანგარიშები

19. **სტრუქტურის მიხედვით ანგარიშები იყოფა:**

ა) აქტიურ ანგარიშებად

ბ) პასიურ ანგარიშებად, აქტიურ-პასიურ ანგარიშებად

გ) მხოლოდ ა) და ბ) პასუხებია სწორი

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

20. **საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ანგარიშის დებეტში და კრედიტში გაკეთებული ჩანაწერების ჯამს ეწოდება:**

ა) ნაშთი

ბ) ბრუნვა

გ) აქტივი

დ) პასივი

21. **რა არის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა?**

ა) ბუღალტრული აღრიცხვის სადებეტო ჩანაწერები

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საკრედიტო ჩანაწერები

გ) ბუღალტრული ანგარიშების გარკვეული სისტემით დაჯგუფება

დ) ბუღალტრულ ანგარიშებზე ნაშთების გამოყვანა

22. **ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები თავიანთი სტრუქტურის მიხედვით არის:**

ა) აქტიური ანგარიშები
ბ) პასიური ანგარიშები
გ) აქტიურ-პასიური ანგარიშები
დ) სადებეტო ანგარიშები

23. **სალაროს ანგარიშზე საწყისი ნაშთი შეადგენდა 5000 ლარს. თვის განმავლობაში სალაროში შემოვიდა 30000 ლარი, ხოლო გავიდა 12000 ლარი. რამდენს შეადგენს სალაროში ფულის ნაშთი თვის ბოლოს და ანგარიშის რომელ მხარეს ჩაიწერება იგი?**

ა) 23000 ლარს და ჩაიწერება კრედიტის მხარეს
ბ) 8000 ლარს და ჩაიწერება კრედიტის მხარეს
გ) 23000 ლარს და ჩაიწერება დებეტის მხარეს
დ) 22000 ლარს და ჩაიწერება ანგარიშის ორივე მხარეს

24. გადასახდელი ხელფასების ანგარიშზე თვის დასაწყისში ნაშთი შეადგენდა 60000 ლარს. თვის განმავლობაში დარიცხული იქნა 50000 ლარის ხელფასი, ხოლო გაცემული იქნა 100000 ლარი. რამდენს შეადგენს სახელფასო დავალიანება თვის ბოლოს და ანგარიშის რომელ მხარეს ჩაიწერება იგი?

ა) 10000 ლარს და ჩაიწერება დებეტის მხარეს
ბ) 40000 ლარს და ჩაიწერება კრედიტის მხარეს
გ) 10000 ლარს და ჩაიწერება კრედიტის მხარეს
დ) 8000 ლარს და ჩაიწერება ანგარიშის ორივე მხარეს

25. კომპანიას გააჩნდა მარაგების საწყისი ნაშთი 25000 ლარის. მიმდინარე პერიოდში განხორციელდა შესყიდვები 77200 ლარის ნაღდ ანგარიშზე და 23500 ლარის შემდგომი გადახდის პირობით. გაყიდული საქონლის თვითღირებულებამ 120700 ლარი შეადგინა. საქონლის საბოლოო ნაშთი არის:

ა) 11780 ლარი
ბ) 94300 ლარი
გ) 5000 ლარი
დ) 4000 ლარი

26. **მყიდველს მიეწოდა 6000 ლარის პროდუქცია შემდგომი გადახდის პირობით. ასახეთ ბუღალტრულად შემოსავლის მიღება.**

ა) დებეტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 6000

კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 6000

ბ) დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 6000

კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 6000

გ) დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 6000

კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 6000

დ) დებეტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 6000

კრედიტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 6000

27. **წარმოებაში დაიხარჯა 23000 ლარის საწვავი. ასახეთ ბუღალტრულად საწვავის ხარჯი.**

ა) დებეტი 1650 „საწვავი“ 23000

კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან” 23000

ბ) დებეტი 7190 „საწვავის ხარჯი“ 23000

კრედიტი 1650 „საწვავი“ 23000

გ) დებეტი 7190 „საწვავის ხარჯი“ 23000

კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 23000

დ) დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან” 23000

კრედიტი 1650 „საწვავი“ 23000

28. პროდუქციის წარმოებაზე დაიხარჯა 45000 ლარის მასალები. ასახეთ ბუღალტრულად მასალების ხარჯი.

ა) დებეტი 1620 „მასალები“ 45000
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან” 45000
ბ) დებეტი 7110 „მასალების ხარჯი“ 45000
კრედიტი 1640 „მზა პროდუქცია“ 45000
გ) დებეტი 7110 „მასალების ხარჯი“ 45000
კრედიტი 1620 „მასალები“ 45000
დ) დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან” 45000
კრედიტი 1640 „მზა პროდუქცია“ 45000

29. მოგება თავისი ეკონომიკური შინაარსით არის:

ა) მოცემულ პერიოდში საწარმოში ნებისმიერი შემოსული თანხების მეტობა გასულ თანხებთან

ბ) მიმდინარე წელს მიღებული შემოსავლების მეტობა გასულ წელთან შედარებით

გ) მოცემულ პერიოდში საწარმოში მიღებული შემოსავლების მეტობა იმავე პერიოდში გაწეულ ხარჯებთან.

დ) მოცემულ პერიოდში საწარმოში გაწეული ხარჯების მეტობა შემოსავლებთან

30. საბოლოო ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა:

ა) დროებითი ანგარიშების დახურვა; ინვენტარიზაციის ჩატარება და სასაქოლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თანხობრივი ნაშთების დაზუსტება

ბ) სხვადასხვა სახის კორექტირებების გაკეთება

გ) არც ერთ პასუხი არ არის სწორი

დ) მხოლოდ ა) და ბ) პასუხებია სწორი

ლიტერატურა

1. ლ. გრიგალაშვილი, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; სტუ გამომცამლობა, 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ტესტები „ფინანსური აღრიცხვა“

.1. **საწარმომ დააბანდა 10000 ლარი 2 წლის ვადით, წლიური 10%-იანი განაკვეთით. განსაზღვრეთ დაბანდებული თანხის მომავალი ღირებულება.**

გამოიყენეთ ფორმულა: FV =PV X (1+ i) ^{n}

ა) 11000 ლარი

ბ) 12100 ლარი

გ) 12000 ლარი

დ) 12050

2. კომპანიას სურს, რომ 2 წლის შემდეგ 10%-იანი განაკვეთის პირობებში მიიღოს 48400 ლარი. რა თანხა უნდა დააბანდოს კომპანიამ დღეს? გამოიყენეთ ფორმულა: PV= FV/((1+ i) ^{n}

ა) 40000 ლარი

ბ) 42000 ლარი

გ) 45000 ლარი

დ) 43000

3. დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მიწოდებული საქონელი რეალიზაციაში (შემოსავლებში) აისახება:

ა) თანხის მიღების შემდეგ

ბ) საქონლის მიწოდებისთანავე

გ) დამოკიდებულია მენეჯერის გადაწყვეტილებაზე

დ) არ აისახება რეალიზაციაში

4. საკასო მეთოდის გამოყენებით, მიწოდებული საქონელი რეალიზაციაში (შემოსავლებში) აისახება:

ა) საქონლის მიწოდებისთანავე

ბ) თანხის მიღების შემდეგ

გ) დამოკიდებულია მენეჯერის გადაწყვეტილებაზე

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

5. საეჭვო მოთხოვნად მიიჩნევა მოთხოვნა:

ა) რომელიც საქონლის მომწოდებელს უნდა გადაერიცხოს

ბ) მყიდველის დავალიანება მიმწოდებლის წინაშე, რომლის განაღდებაზეც გაცემულია საბანკო გარანტია

გ) რომელიც დაფარული არ არის დადგენილ ვადაში

დ) რომელიც საერთოდ არ დაიფარება

6. 2018 წლის 31 დეკემბერს შპს „ყაზბეგის“ დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) შეადგენდა 90000 ლარს. საწარმოს მენეჯერი ვარაუდობს, რომ დებიტორული დავალიანების 3% საეჭვოა. დებიტორული დავალიანების ნეტო თანხა ბალანსში არის (ლარი):

ა) 87300

ბ) 89100

გ) 85500

დ) 87400

7. წლის ბოლოს საწარმოში მზა პროდუქციის ნაშთი შეადგენს 2000 ერთეულს. ერთეულის თვითღირებულება 25 ლარია, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულება 30 ლარი. ამ შემთხვევაში მზა პროდუქცია ბალანსში აისახება:

ა) 27500 ლარი;

ბ) 60000 ლარი;

გ) 50000 ლარი

დ) 55000 ლარი

8. ბასს-ის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდებია:

ა) ინდივიდუალური დანახარჯების მეთოდი; საშუალო-შეწონილი ღირებულების მეთოდი; „FIFO“ მეთოდი

ბ) მიმდინარე საბაზრო ღირებულების მეთოდი

ბ) უწყვეტი და წყვეტილი მეთოდი

დ) მუდმივი და პერიოდული აღრიცხვის მეთოდი

?ყ **მარაგების აღრიცხვაში „FIFO“ მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ :**

ა) მარაგები იხარჯება ბოლოს შეძენილი ფასებით

ბ) მარაგები იხარჯება პირველად შეძენილი ფასებით

გ) დამოკიდებულია მენეჯმენტზე

დ) მარაგები იხარჯება საშუალო-შეწონილი ფასებით

10. ძირითადი საშუალებების შეძენის თვითღირებულება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) ადმინისტრაციული ხარჯები

ბ) შესყიდვის ფასი; საიმპორტო გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები; დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯები; ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები

გ) ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის სწავლების ხარჯები

დ) შენახვის ხარჯები

11. 2022 წლის 1 ოქტომბერს საწარმომ 200000 ლარად შეიძინა აგურის შენობა. ცვეთის წლიური ნორმა შეადგენს 0,7%-ს. შენობის ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

ა) 197200 ლარი

ბ) 195600 ლარი

გ) 199650 ლარი

დ) 199000

12. შეძენილია მიმწოდებლებისაგან მასალები, თანხა გადარიცხულია ბანკიდან. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება თანხის გადარიცხვაზე:

ა) დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან”
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები”

ბ) დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები”
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან”

გ) დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები”
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

დ) დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები”

13. შეძენილია საქონელი შემდგომი გადახდის პირობით. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

ა) დებეტი „საქონელი“
კრედიტი „ფულადი საშუალებები“

ბ) დებეტი „საქონელი“
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“

გ) დებეტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი „საქონელი“

დ) დებეტი „საქონელი“
კრედიტი „შემოსავლები“

14. დარიცხულია მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

ა) დებეტი „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი „გადასახდელი ხელფასები“

ბ) დებეტი „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“

გ) დებეტი „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“

დ) დებეტი „გადასახდელი ხელფასი“
კრედიტი „ხელფასის ხარჯი“

15. დაუკავდათ მუშა-მოსამსახურეებს საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

ა) დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები”
კრედიტი 3320 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი”

ბ) დებეტი 7120 „პირდაპირი ხელფასი“
კრედიტი 3130 „გადასახდელი ხელფასები”

გ) დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები”
კრედიტი 7120 „ხელფასის ხარჯი“

დ) დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები”
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“

16. ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის წლიური შემოსავალი შეადგენს 200 000 ლარს. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%-ია. ასახეთ ბუღალტრულად წლიური საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა.

ა) დებეტი 3310 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“	40000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“	40000
ბ) დებეტი 5330 „მოგება/ზარალი“	40000
კრედიტი 3310 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“	40000

გ) დებეტი 5330 „მოგება/ზარალი“ 40000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 40000

დ) დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები”
კრედიტი 7120 „ხელფასის ხარჯი“

17. რა არის საემისიო კაპიტალი?

ა) აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი
ბ) ნომინალზე ზევით აქციის გაყიდვისას წარმოქმნილი დამატებითი კაპიტალი
გ) ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასი
დ) კაპიტალის ღირებულება

18. სააქციო საზოგადოებამ გაყიდა 50000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარის ტოლია. აქციები გაიყიდა ნომინალური ღირებულებით. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

ა) დებეტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 50000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000

ბ) დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 50000

გ) დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 50000

დ) დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5140 „გამოსყიდული აქციები“ 50000

19. საწარმოს გააჩნდა შემდეგი მაჩვენებლები: მზა პროდუქციის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში 75000 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოშვებული მზა პროდუქცია 60000 ლარი. მზა პროდუქციის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 14000 ლარი. განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

ა) 121000 ლარი
ბ) 61000 ლარი
გ) 90000 ლარი
დ) 120000 ლარი

20. **წარმოებაში დაიხარჯა 23000 ლარის საწვავი. ასახეთ ბუღალტრულად საწვავის ხარჯი.**

ა) დებეტი „საწვავის ხარჯი“ 23000

კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან”	23000
ბ) დებეტი „საწვავის ხარჯი“	23000
კრედიტი „საწვავი“	23000
გ) დებეტი „საწვავის ხარჯი“	23000
კრედიტი „შემოსავლები რეალიზაციიდან“	23000
დ) დებეტი „შემოსავლები რეალიზაციიდან“	23000
კრედიტი „საწვავის ხარჯი“	23000

21. ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლებია:

ა) დარიცხვის მეთოდი

ბ) აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედობა, შესადარისობა

გ) ეროვნულ ვალუტაში შედგენა

დ) გამჭვირვალობა

22. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

ა) ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

ბ) აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები

ბ) საცდელი ბალანსი

დ) საბოლოო ბალანსი

23. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

ა) ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ

ბ) აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი;

გ) საცდელი ბალანსი

დ) საბოლოო ბალანსი

ლიტერატურა

1.ლ. გრიგალაშვილი, ფინანსური აღრიცხვა, გეორგიკა, 2014 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ტესტები „მარკეტინგი “

1. ---------- დააკავშირა ერთმანეთთან კომპანიის, მომხმარებლების და მთელი საზოგადოების ინტერესები.

   ა)პროდუქტის სრულყოფის კონცეფციამ
   ბ)წარმოების კონცეფციამ
   გ)მარკეტინგულმა კონცეფციამ
   დ)სოციოეთიკურმა მარკეტინგულმა კონცეფციამ

2. წარმოების კონცეფციის მიხედვით, მომხმარებელი უპირატესობას იმ პროდუქტს ანიჭებს, რომელიც არის ---------- და ----------.

   ა)მაღალი წარმოების; დაბალი ფასის
   ბ)მაღალმოთხოვნადი; დეფიციტური
   გ)ხელმისაწვდომი; დაბალი ფასის
   დ)ხარისხიანი; ინოვაციური

3. გაყიდვის კონცეფცია ხელსაყრელი და ეფექტიანია ---------- პროდუქტისათვის.

   ა)ინოვაციური
   ბ)პასიური მოთხოვნის

გ)მაღალმოთხოვნადი
დ)დეფიციტური

4. **მარკეტინგული კონცეფციის მიხედვით კომპანიებმა თავისი ძალისხმევა უნდა მოახმარონ:**

ა)მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესწავლას (დაკმაყოფილებას)
ბ)ბაზრის პროგნოზირებას
გ)კომპანიის შიდა ოპერაციების და პროდუქტის მუდმივ სრულყოფას
დ)გასაღების სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას

5. **დაკვირებითი კვლევის ჩასატარებლად არ გამოიყენება:**

ა)სოციალური ქსელები
ბ)ფოკუს-ჯგუფები
გ)საცალო ობიექტის სკანერები
დ)სათვალთვალო კამერები

6. **პირისპირ გამოკითხვის მეთოდის ძლიერ მხარეს წარმოადგენს:**

ა)მონაცემების შეგროვების დაბალი ხარჯი
ბ)ინტერვიუერის ზეგავლენის კონტროლის შესაძლებლობა
გ)მოქნილობა
დ)ამონაკრების კონტროლის შესაძლებლობა

7. **ქართულმა კომპანია „სანტემ“ გადაწყვიტა** საბავშვო რძის პროდუქტების ბრენდი - „ლოკო მოკო" მეტი რაოდენობით მიყიდოს არსებულ მომხმარებლებს. კომპანია ამ სტრატეგიით უზრუნველყოფს ----------

ა)ბაზრის განვითარებას
ბ)პროდუქტის განვითარებას
გ)დივერსიფიკაციას
დ)ბაზარში უფრო ღრმად შეღწევას

8. **ეთნოგრაფიული კვლევის საშუალებით შესაძლებელია** ----------

ა)ჰიპოთეზების ფორმულირება და შემოწმება
ბ)კომპანიის სტრატეგიის შესახებ კონკრეტული დეტალების გამოკვეთა
გ)საექსპერიმენტო ჯგუფების საპასუხო რეაქციების შეფასება

დ)ფოკუს-ჯგუფებისათვის შეუმჩნეველი ფარული დეტალების გამოვლენა

9. სატელეფონო გამოკითხვის მეთოდის ძლიერ მხარეს წარმოადგენს:

ა)მონაცემებთა შეგროვების დაბალი ხარჯი
ბ)ამონაკრების კონტროლის შესაძლებლობა
გ)ინტერვიუერის ზეგავლენის კონტროლის შესაძლებლობა
დ) მონაცემთა შედეგების დამახინჯების ნაკლები ალბათობა

10. როდესაც მომხმარებელს არ სურს ინფორმაციის მოწოდება, მარკეტოლოგები მიმართავენ ----------

ა)კითხვარებს
ბ)დაკვირვებას
გ)მიზნობრივ ჯგუფებს
დ)ინდივიდუალურ გასაუბრებას

11. რომელია სწორი დებულება? მეორადი მონაცემები ----------

ა)პირველად მონაცემთან შედარებით ძვირია
ბ)ზოგჯერ სანდო არ არის
გ)აღწერითი კვლევის საშუალებით გროვდება
დ)ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს პირველად მონაცემებთან ერთად

12. მარკეტინგული კომპლექსის 4C –ს არ მიეკუთვნება:

ა)მყიდველის პრობლემის გადაჭრა, პროდუქტი, მოხერხებულობა, ფასი

ბ)ფასი, ადგილი, სტიმულირება, პროდუქტი

გ)მოხერხებულობა, მყიდველის პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, მყიდველის ხარჯი

დ)ფასი, მყიდველის პრობლემის გადაჭრა, მყიდველის ხარჯი, სტიმულირება

13. მიკროგარემოში მონაწილე ძალებს არ მიეკუთვნებიან:

ა)მომწოდებლები, სამომხმარებლო ბაზრები, ბუნებრივი ძალები, კონკურენტები

ბ)კომპანია, სამომხმარებლო ბაზრები, კონკურენტები, საზოგადოება

გ)მომწოდებლები, მარკეტინგული შუამავლები, კონკურენტები, სამთავრობო საზოგადოება

დ)კომპანია, მომწოდებლები, საზოგადოების ფართო მასა, გადამყიდველები

14. მომხმარებლის ქცევაზე მოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორებია:

ა)მოტივაცია, რწმენა, პიროვნულობა, აღქმა და დამოკიდებულება

ბ)მოტივაცია, თვითაღქმა, სწავლა, რწმენა და დამოკიდებულება

გ)მოტივაცია, სწავლა, რწმენა, აღქმა და დამოკიდებულება

დ)მოტივაცია, სწავლა, პიროვნულობა, აღქმა და დამოკიდებულება

15. მომხმარებლის ქცევაზე მოქმედ სოციალურ ფაქტორებს არ მიეკუთვნება:

ა)სოციალური კლასი

ბ)ოჯახი

გ)თანამოზიარეთა ჯგუფი

დ)როლი და სტატუსი

16. ---------- გულისხმობს მომხმარებლის მიერ ინფორმაციის ინტერპრეტაციას ისე, რომ მან დაადასტუროს და განამტკიცოს პროდუქტის მიმართ ჩამოყალიბებული რწმენა

ა)შერჩევითი დამახინჯება

ბ)შერჩევითი შეტყობინება

გ)შერჩევითი ყურადღება

დ)შერჩევითი დამახსოვრება

17. ---------- ასახავს იმ ცვლილებებს, რაც გამოწვეულია ადამიანის შინაგანი ლტოლვის, მინიშნების, რეაქციისა და განმტკიცების ურთიერთქმედების შედეგად.

ა)აღქმა
ბ)სწავლა
გ)რწმენა
დ)დამოკიდებულება

18. ძირითადად, მომხმარებელი პროდუქტის შესახებ ინფორმაციას ---------- წყაროებიდან იღებს, თუმცა ამ ინფორმაციას წონადობას ---------- წყაროები ანიჭებენ

ა)კომერციული; საზოგადოებრივი
ბ)საზოგადოებრივი; პიროვნული
გ)კომერციული; გამოცდილებითი
დ)კომერციული; პიროვნული

19. ბიზნესსაქონელზე არსებული მოთხოვნა ----------

ა)ელასტიკური მოთხოვნაა
ბ)დაკავშირებულია ზოგადად საინვესტიციო საქონელზე არსებული მოთხოვნასთან
გ)განისაზღვრება სამომხმარებლო საქონელზე არსებული მოთხოვნით
დ)დამოუკიდებლად ყალიბდება

20. ბიზნესსაქონლის შესყიდვაზე მოქმედ ინტერპერსონალურ ფაქტორებს მიეკუთვნება --------- .

ა)პიროვნული მახასიათებლები
ბ)სამსახურებრივი პოზიცია
გ)წეს-ჩვეულებები
დ)ძალაუფლება

21. ონლაინ მაღაზია Etsy ყიდის საინტერესო, ხელნაკეთ ნივთებს და ეხმარება ადამიანებს გამოიმუშაონ ფული იმით, რისი კეთებაც მათ ყველაზე მეტად უყვართ. Etsy ახორციელებს ---------- სტრატეგიას.

ა)კონცენტრირებული მარკეტინგის
ბ)არადიფერენცირებული მარკეტინგის
გ)მიკრომარკეტინგის
დ)ინდივიდუალური მარკეტინგის

22. ბევრ მოგზაურს ურჩევნია ზედმეტი ფული არ დახარჯოს დამატებით სერვისებში. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით აშშ-ს ყველაზე

მომგებიანი ავიაკომპანია „საუსვესტ ეარლაინსი“ იყენებს ---------- პოზიციონირების სტრატეგიას.

ა)მეტი - იმავეთი
ბ)იგივე - ნაკლებით
გ)მეტი - ნაკლებით
დ)ნაკლები - ბევრად ნაკლებით

23. მომხმარებელთა ფასეულობის ანალიზი გამოიყენება ----------

ა)კარგი თუ ცუდი კონკურენტების იდენტიფიკაციისთვის
ბ)უკონკურენტო საბაზრო სივრცის მოსაძებნად
გ)კომპანიის კონკურენტების დასადგენად
დ)იმ სარგებლის განსასაზღვრად, რომელსაც სამიზნე მომხმარებლები აფასებენ

24. ---------- შეუძლია აწარმოოს არაპირდაპირი შეტევა კონკურენტის სუსტი მხარეების ან ბაზრის დაფარვაში მისი ხარვეზების მიმართ

ა)ბაზრის ლიდერს
ბ)ბაზრის გამომწვევს
გ)ბაზრის მიმდევარს
დ)ბაზრის ნიშაზე მომუშავეს

25. ახალგაზრდა ფეხბურთელის ოცნებაა, რომ მისი პროფესიული კარიერა, ლიონელ მესის მსგავსად, მეტად წარმატებული იყოს და მილიონობით ადამიანის კერპი გახდეს. მას სურს ---------- წევრობა

ა)თანამოზიარეთა ჯგუფის
ბ)შესადარებელი ჯგუფის
გ)ლიდერთა ჯგუფის
დ)საწადელი ჯგუფის

26. მაღაზიები, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ საქონელს დიდი რაოდენობის პროდუქციის სერიის ფართო ასორტიმენტით, არის ----------

- სუპერმარკეტები
- უნივერმაღები

- სუპერმაღაზიები
- სპეციალიზებული მაღაზიები

27. ---------- ვაჭრობენ დაბალი ფასებით, მცირე მარჟით და დიდი მოცულობის სტანდარტული საქონლით
    - უნივერმაღები
    - სუპერმარკეტები
    - დაბალი ფასებით მოვაჭრე მაღაზიები
    - ჩამოფასებული საქონლით მოვაჭრე მაღაზიები

28. ---------- საცალოდ მოვაჭრის ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ტიპების კლასიფიკაციაში არ შედის
    - საცალოდ მოვაჭრეთა ნებაყოფლობითი ქსელი
    - საცალოდ მოვაჭრეთა კოოპერატივი
    - კორპორაციულ მაღაზიათა ქსელი
    - სპეციალიზებული მაღაზიები

29. საცალოდ მოვაჭრეები პროდუქტის შესახებ გადაწყვეტილებებს რიგი ფაქტორების გათვალისწინებით ღებულობენ. ამ ფაქტორებში არ შედის ----------
    - საცალო მაღაზიის ატმოსფერო
    - შეთავაზებული მომსახურების სპექტრი
    - სამიზნე ბაზრების განსაზღვრა
    - პროდუქტის ასორტიმენტი

30. საცალო მოვაჭრეები აშენებენ მდგრად შენობებსა და კონსტრუქციებს, მომხმარებლებს სთავაზობენ ორგანული, განახლებადი ან მეორადი მასალისგან დამზადებულ პროდუქციას. აღნიშნული აქტივობების განხორციელება, პირველ რიგში, ხდება ----------
    - პროგრესული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე
    - საცალო ვაჭრობის ახალი ფორმების განვითარების მიზნით მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით
    - მომხმარებელთა სტიმულირების მიზნით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე
    - გარემოს დაცვის მიზნით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

31. მომხმარებლებისთვის „იპოვე - შეადარე - შეარჩიე“-ს სისტემის შეთავაზება ხდება ----------

- შეზღუდული მომსახურების მაღაზიებში
- თვითმომსახურების მაღაზიებში
- სრული მომსახურების მაღაზიებში
- სპეციალიზებულ მაღაზიებში

32. მამაკაცის ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზია მიეკუთვნება ----------.

- შეზღუდული სერიის მქონე სპეციალიზებულ მაღაზიას
- შეზღუდული ასორტიმენტით მოვაჭრე მაღაზიას
- მოსახერხებელ მაღაზიას
- სუპერსპეციალიზებულ მაღაზიას

33. არსებობს ჩამოფასებული საქონლით მოვაჭრე მაღაზიების სამი ტიპი. ამ ტიპის მაღაზიებს არ მიეკუთვნება ----------.

- დამოუკიდებელი საცალოდ მოვაჭრე
- მეწარმის მფლობელობაში არსებული და მის მიერ მართული მაღაზია
- საცალოდ მოვაჭრე საწყობი
- საცალოდ მოვაჭრე კოოპერატივი

34. ---------- არის განსაზღვრული ფუნქციის მქონე ბითუმად მოვაჭრე, რომელიც მუდმივად წარმოადგენს კონკრეტულ ორგანიზაციას (მყიდველებს ან გამყიდველებს) და არსებულ საქონელზე იურიდიულად არ აგებს პასუხს.

- ბროკერი
- აგენტი
- დილერი
- მებითუმე კონსიგნანტი

35. შეზღუდული მომსახურების ბითუმად მოვაჭრეებს არ მიეკუთვნებიან ----------.

- გაყიდვების ფილიალები და ოფისები

- შეკვეთის ადგილზე მიმტანები
- შესყიდვის ადგილზე ბითუმად მოვაჭრეები
- მწარმოებლების კოოპერატივები

36. AIDA-ს მოდელის ელემენტებში არ შედის ---------- .

- ქმედება
- ინტერესი
- დარწმუნება
- სურვილი

37. კომუნიკაციის პროცესი მოიცავს ცხრა ელემენტს, რომელთა შორისაც გამოყოფენ კომუნიკაციის მთავარ ფუნქციებს. მასში არ შედის ----------.

- დაშიფვრა
- გაშიფვრა
- შეტყობინება
- პასუხი

38. შეტყობინებაზე მომხმარებლის რეაქციის რამდენიმე სახე არსებობს. ერთ-ერთი მიმართულია მაყურებლის გრძნობისაკენ და მოუწოდებს ადამიანებს სხვადასხვა სოციალური ვალდებულებების შესრულებისაკენ. ეს არის შეტყობინების ---------- მხარე.

- ემოციური
- რაციონალური
- მორალური
- ფსიქოლოგიური

39. ---------- გულისხმობს აზრის ლიდერების - გამავრცელებლების მომზადებასა და მათი მეშვეობით ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელებას ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ.

- სიტყვიერი მარკეტინგი
- ბაზ-მარკეტინგი
- ერთობლივი მარკეტინგი
- მასობრივი მარკეტინგი

40. მარკეტინგული სტიმულირების მთლიანი ბიუჯეტის შედგენის ეს მეთოდი აიძულებს მენეჯერებს, დაასახელონ, რა მოსაზრებები აქვთ დახარჯული და რეკლამებით მიღებული თანხების შესახებ. ამასთან, ის ყველაზე რთული მეთოდია. ეს არის ----------.

- ხელმისაწვდომობის მეთოდი
- კონკურენტუნარიანი პარიტეტის მეთოდი
- მიზნისა და ამოცანის მეთოდი
- გაყიდვებიდან პროცენტის მეთოდი

41. სტიმულირების ბიუჯეტის დადგენის ---------- გამოყენებისას რთულდება მყიდველთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება და რეკლამაც, ხარჯვის პრიორიტეტებში უგულებელყოფილია.

- გაყიდვებიდან პროცენტის მეთოდის
- ხელმისაწვდომობის მეთოდის
- კონკურენტუნარიანი პარიტეტის მეთოდის
- მიზნისა და ამოცანის მეთოდის

42. ---------- უპირატესობად დაბალი ხარჯი, მოქნილობა და განმეორებითი გამოყენების მაღალი შესაძლებლობა ითვლება.

- ტელევიზიის
- გარე რეკლამის
- ჟურნალების
- პირდაპირი ელ-ფოსტის

43. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფუნქციებში არ შედის ----------.

- კონკრეტული პროდუქტების რეკლამირება
- საინფორმაციო სააგენტოს ფუნქციების შესრულება
- გუნდური გაყიდვების უზრუნველყოფა
- ლობირება

44. ბრენდის უპირატესობის შექმნა და მომხმარებელთა აღქმის შეცვლა პროდუქტის ფასეულობასთან დაკავშირებით არის ---------- შესაძლო მიზანი.

- ინფორმაციული რეკლამის
- დამარწმუნებელი რეკლამის
- შემახსენებელი რეკლამის
- მასტიმულირებელი რეკლამის

45. გაყიდვების პერსონალი კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ პროდუქტს, რომელსაც ყიდის. ამიტომ, როცა პროდუქტების რაოდენობა დიდი და მრავალფეროვანია, კომპანიამ გაყიდვების პერსონალის სტრუქტურირება მიზანშეწონილია განახორციელოს ----------.

- კლიენტებზე ორიენტაციით
- ფუნქციური პრინციპით
- ტერიტორიული პრინციპით
- პროდუქტზე ორიენტაციით

46. საუკეთესო გაყიდვების პერსონალს ოთხი ძირითადი მახასიათებელი სჭირდება: შინაგანი მოტივაცია, დისციპლინირებული მუშაობის სტილი, გაყიდვების საბოლოო ეტაპზე მიყვანის უნარი და ყველაზე მეტად ----------.

- შემოქმედებითი მიდგომა
- მომხმარებლის ინფორმირება
- კლიენტებთან ურთიერთობის აგების ხელოვნება
- მყიდველის კომპანიასთან დაკავშირება

47. სპეციალურ სატელევიზიო არხებზე წამყვანები მაყურებლებს არაერთი დასახელების პროდუქციას სთავაზობენ, როგორიცაა: სამკაულები, ასაწყობი სათამაშოები, ტანსაცმელი თუ საოჯახო ტექნიკა. მაყურებლები რეკავენ უფასო სატელეფონო ნომრებზე ან ინტერნეტით უკვეთავენ პროდუქციას. ეს არის ----------.

- პირდაპირი რეაგირების სატელევიზიო რეკლამა
- ინტერაქტიული ტელევიზია
- პირდაპირი რეაგირების სატელევიზიო არხები
- ტელემარკეტინგი

48. ---------- მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ ჩამოტვირთონ აუდიოფაილები ინტერნეტით მობილურებზე და მოუსმინონ ან ნახონ ისინი, როდესაც სურთ და სადაც სურთ.

- პოდკასტების
- ვოდკასტების
- ტელემარკეტინგის
- ინტერაქტიული ტელევიზიის

49. როდესაც პროდუქტის ღირებულება ძალიან მაღალია, კომპანიებისათვის გამოსადეგი და ეფექტიანია:

- პროდუქტის სრულყოფის კონცეფცია
- წარმოების კონცეფცია
- მარკეტინგული კონცეფცია
- გაყიდვის კონცეფცია

50. ---------- კონცეფციას საფუძვლად უდევს იდეოლოგია - „გააკეთე და გაყიდე“, ---------- კონცეფცია კი ემყარება იდეოლოგიას - „შეიგრძენი და უპასუხე“.

- სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის, წარმოების
- პროდუქტის სრულყოფის, მარკეტინგის
- წარმოების, სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის
- სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის, პროდუქტის სრულყოფის

51. მარკეტინგული პროცესის მარტივი მოდელის მესამე საფეხურზე კომპანიები ცდილობენ:

- მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებას
- მყიდველთა კმაყოფილების შექმნას
- მყიდველისგან ფასეულობის მიღებას
- უმაღლესი ფასეულობის მიმწოდებელი მარკეტინგული პროგრამების შექმნას

52. --------- არის ფორმა, რომელსაც ადამიანის მოთხოვნილება იღებს კულტურული და პიროვნული ფაქტორების ზეგავლენით.

- გაცვლა
- სურვილი
- მოთხოვნილება (საჭიროება)
- მოთხოვნა

53. ---------- არის სხვაობა მთლიანად მიღებულ სარგებელსა და მთლიან გაცემულ ღირებულებას შორის.

- მყიდველის კმაყოფილება
- მყიდველის მოლოდინი
- მყიდველის მიერ აღქმული ფასეულობა
- i. მყიდველის მიერ წარმოებული მარკეტინგი

54. კომპანიამ პოტენციურად მომგებიანი, მაგრამ არაერთგული მომხმარებლების მოსაზიდად და სასურველი გარიგების განსახორციელებლად უნდა გამოიყენონ ---------- სტრატეგია.

- მასტიმულირებელი თავდასხმების
- მათთან მომსახურების შემცირების
- მათში ინვესტიციის ჩადების
- მათზე უარის თქმის

55. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში კომპანიის მისიის და მიზნების განსაზღვრა ხორციელდება ---------- დონეზე.

- ბიზნესერთეულის
- კორპორაციულ
- პროდუქტის
- ბაზრის

56. ---------- მაღალი ფარდობითი საბაზრო წილის მქონე პროდუქტებს წარმოადგენენ.

- ○ ვარსკვლავები და კითხვის ნიშნები
- ○ მეწველი ძროხები და ვარსკვლავები
- ○ კითხვის ნიშნები და მეწველი ძროხები
- ○ ვარსკვლავები და ძაღლები

57. ---------- ბაზრის დაბალი ზრდის ტემპის მქონე პროდუქტებს წარმოადგენენ.

- ○ კითხვის ნიშნები და მეწველი ძროხები
- ○ ძაღლები და კითხვის ნიშნები
- ○ ვარსკვლავები და ძაღლები
- ○ მეწველი ძროხები და ძაღლები

58. კომპანიის სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპებში არ შედის:

- ○ კომპანიის მიზნების დასახვა
- ○ ბიზნეს - პორტფელის შექმნა
- ○ მარკეტინგული კვლევის ჩატარება
- ○ კომპანიის მისიის განსაზღვრა

59. დივერსიფიკაცია არის კომპანიის ზრდის სტრატეგიიდან ერთ-ერთი, რომელიც გულისხმობს ---------- შესვლას ----------.

- ○ არსებულ ბაზრებზე; პროდუქტების შეცვლის გარეშე
- ○ ახალ ბაზრებზე; ახალი პროდუქტებით
- ○ ახალ ბაზრებზე; არსებული პროდუქტებით
- ○ არსებულ ბაზრებზე; ახალი პროდუქტებით

60. პროდუქტის განვითარება არის კომპანიის ზრდის სტრატეგიიდან ერთ-ერთი, რომელიც გულისხმობს:

- ○ არსებულ ბაზრებზე შესვლას პროდუქტების შეცვლის გარეშე

- ახალ ბაზრებზე ახალი პროდუქტებით შესვლას
- ახალ ბაზრებზე არსებული პროდუქტებით შესვლას
- არსებულ ბაზრებზე ახალი პროდუქტებით შესვლას

61. მარკეტინგული კომპლექსის ოთხი „C“- ს შემადგენელი ელემენტებს წარმოადგენს:

- პროდუქტი, მყიდველის პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, მოხერხებულობა
- მოხერხებულობა, ფასი, კომუნიკაცია, მყიდველის პრობლემის გადაჭრა
- მყიდველის პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, სტიმულირება, მოხერხებულობა
- მყიდველის პრობლემის გადაჭრა, მყიდველის ხარჯი, კომუნიკაცია, მოხერხებულობა

62. მაკროგარემოში შემავალ ძალებს არ მიეკუთვნებიან:

- დემოგრაფიული ძალები
- ეკონომიკური ძალები
- საზოგადოება
- კულტურული ძალები

63. მყიდველთა ბაზრებს მიეკუთვნება:

- საინვესტიციო კომპანიები
- ბითუმად და საცალოდ მოვაჭრეები
- ფიზიკური დისტრიბუციის ფირმები
- მარკეტინგული მომსახურების სააგენტოები

64. პირველადი მონაცემების შეგროვების მიზნით არ გამოიყენება ---------- .

- დაკვირვებითი კვლევა
- ექსპერიმენტი

- კომპანიის შიდა მონაცემთა ბაზა
- ონლაინ ფოკუს-ჯგუფები

65. მარკეტინგული კვლევის პროცესში მონაცემების შეგროვება და ანალიზი მიეკუთვნება ---------- ეტაპს.

- მონაცემების შეგროვების და ანალიზის
- კვლევის გეგმის განხორციელების
- კვლევის პრობლემის განსაზღვრის
- კვლევის გეგმის ჩამოყალიბების

66. ---------- კვლევა პრობლემისა და კვლევის მიზნების განსაზღვრისათვის გამოიყენება.

- აღწერითი
- კაუზალური
- ექსპერიმენტული
- აღმოჩენითი

67. მომხმარებლის ქცევაზე მოქმედი სოციალური ფაქტორებია:

- სოციალური კლასი, ოჯახი, როლი და სტატუსი
- როლი და სტატუსი, ოჯახი, თანამოზიარეთა ჯგუფი
- შესადარებელი ჯგუფი, როლი და სტატუსი, სოციალური კლასი
- საწადელი ჯგუფი, ცხოვრების სტილი, როლი და სტატუსი

68. მომხმარებლის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენენ ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამ ფაქტორებს არ მიეკუთვნება ---------- .

- რწმენა
- აღქმა
- ცხოვრების სტილი
- სწავლა

მარკეტინგის საფუძვლები [ფილიპ კოტლერი]

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი2015

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“

ტესტები „მენეჯმენტი“

1. **პირველი მიზეზი, რის გამოც მენეჯერები მნიშვნელოვანნი არიან ორგანიზაციისთვის, არის ის, რომ:**
   ა) ორგანიზაციებს გაურკვეველ, რთულ და ქაოსურ პერიოდში, ისე, როგორც არასდროს, სჭირდებათ მათი მენეჯერული უნარები და შესაძლებლობები;
   ბ) მათ გადამწყვეტი როლი აკისრიათ მიზნების მიღწევის პროცესში;
   გ) ისინი უზრუნველყოფენ დასაქმებულთა მოტივირებასა და ჩართულობას;
   დ) ყველა პასუხი სწორია.

2. **მენეჯერი არის:**
   ა) ადამიანი, რომელიც ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად კოორდინირებას და ზედამხედველობას უწევს სხვა ადამიანების სამუშაოს;

ბ) ადამიანი, რომლის მიზანია სხვების დახმარება,რათა მან შეძლონ სამუშაოს შესრულება;

გ) ა და ბ პასუხია სწორი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

3. **დაბალი რგოლის მენეჯერები**

ა) მართავენ არამენეჯერ თანამშრომლებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ჩართულნი არიან პროდუქტების წარმოებაში ან ორგანიზაციის კლიენტების მომსახურებაში;

ბ) პასუხისმგებელნი არიან გადაწყვეტილებების მიღებაზე ორგანიზაციის მასშტაბით და სახავენ გეგმებს და მიზნებს, რომლებიც საბოლოოდ გავლენას ახდენს მთელ ორგანიზაციაზე;

გ) არიან რეგიონალური მენეჯერები, პროექტის ლიდერები ან საწყობის მენეჯერები;

დ) ყველა პასუხი სწორია.

4. **მენეჯმენტი მოიცავს:**

ა) სხვების მუშაობის კოორდინირებას და ზედამხედველობას, რათა ეს სამუშაო შესრულდეს ეფექტიანად და ეფექტურად;

ბ) იმის უზრუნველყოფას, რომ სამუშაო სრულდებოდეს ეფექტიანად და ეფექტურად იმ ადამიანების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მის შესრულებაზე;

გ) ა და ბ პასუხია სწორი;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

5. **მენეჯმენტის ფუნქციებია:**

ა) დაგეგმვა, ორგანიზება, ლიდერობა და კონტროლი;

ბ) დაგეგმვა, ორგანიზება, ბრძანებების გაცემა, კოორდინირება და კონტროლი

გ) დაგეგმვა, ორგანიზება და კონტროლი

დ) დაგეგმვა, ორგანიზება, ლიდერობა

6. **გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული როლები:**

ა) გულისხმობს გადაწყვეტილებებს ან არჩევანს და მოიცავს მეწარმეობას;

ბ) გულისხმობს გადაწყვეტილებებს ან არჩევანს და მოიცავს მეწარმეობას, პრობლემების მოგვარებას, რესურსების განაწილებას და მოლაპარაკებას;

გ) გულისხმობს არჩევანს და მოიცავს პრობლემების მოგვარება, და რესურსების განაწილებას;

დ) გულისხმობს გადაწყვეტილებებს და მოიცავს რესურსების განაწილებას და მოლაპარაკებას.

7. **კონცეპტუალური უნარები არის უნარები:**

ა) რომლებსაც მენეჯერები იყენებენ აბსტრაქტულ და კომპლექსურ სიტუაციებზე ფიქრისა და კონცეპტუალიზაციისთვის.

ბ) რომელიც მოიცავს სხვა ადამიანებთან კარგად მუშაობის შესაძლებლობას როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;

გ) რომლებიც გულისხმობს სამუშაოს სპეციფიკის ცოდნას და ტექნიკური საშუალებებს, რომელიც საჭიროა დავალებების მოხერხებულად შესრულებისთვის;.

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

8. **მდგრადობა** განისაზღვრება, როგორც:

ა) კომპანიის შესაძლებლობა, მიაღწიოს საკუთარი ბიზნესის მიზნებს ;

ბ)კომპანიის შესაძლებლობა, გაზარდოს გრძელვადიანი ფასეულობა ;

გ)კომპანიის შესაძლებლობა, მიაღწიოს საკუთარი ბიზნესის მიზნებს და გაზარდოს გრძელვადიანი ფასეულობა აქციონერებისთვის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური შესაძლებლობების ინტეგრირებით მის ბიზნესსტრატეგიებში;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

9. **მენეჯმენტის შესწავლა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზის/მიზეზების გამო:**

ა) მენეჯმენტის უნივერსალურობა, რაც აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მენეჯერები სჭირდებათ ყველა ტიპისა და ზომის ორგანიზაციებში, ყველა ორგანიზაციულ რგოლსა და სამუშაო სფეროში და გლობალურ დონეზე;

ბ) სამუშაო რეალობა – ან მართავთ ან გმართავენ;

გ) მენეჯერად ყოფნის მნიშვნელოვანი ჯილდოები (ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც ადამიანები მაქსიმალურად გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს, მხარს დაუჭერენ, წაახალისებენ და დაეხმარებიან სხვებს სამუშაოს დანიშნულების გაცნობიერებასა და მისით კმაყოფილების მიღებაში და ა.შ.) და გამოწვევები (რთული სამუშაო, ზოგჯერ უფრო საკანცელარიო, ვიდრე მმართველობითი მოვალეობების შესრულება, განსხვავებული ხასიათის ადამიანებთან ურთიერთობა და ა.შ.).

დ) ყველა პასუხი სწორია.

10. **სტეიკჰოლდერები:**

ა) ორგანიზაციის გარემოში არსებული სუბიექტებია, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე;

ბ) ორგანიზაციის გარემოში არსებული სუბიექტებია, რომლებზეც გავლენას ახდენს ორგანიზაციის გადაწყვეტილებები და ქმედებები;

გ) ორგანიზაციის გარემოში არსებული სუბიექტებია- მომხმარებლები , კონკურენტები, მომწოდებლები, აქციონერი და ა.შ.

დ) ბ და გ პასუხებია სწორი

11. **ორგანიზაციული კულტურა განმარტებულია:**

ა) როგორც გაზიარებული ფასეულობები, პრინციპები, ტრადიციები და საქმიანობის გზები, რომლებიც ზემოქმედებს ორგანიზაციის წევრების ქმედებებზე და რაც განასხვავებს ამ ორგანიაზაციას სხვა ორგანიზაციებისგან

ბ) როგორც გაზიარებული ფასეულობები, რომლებიც ზემოქმედებს ორგანიზაციის წევრების ქმედებებზე ;

გ) როგორც გაზიარებული ტრადიციები , რომლებიც ზემოქმედებს ორგანიზაციის წევრების ქმედებებზე;

დ). არც ერთი პასუხი არ არის სწორი

12. ორგანიზაციული კულტურის კრიტერიუმებია:

ა) სტაბილურობა, ინოვაცია და რისკი, ყურადღება დეტალებზე;

ბ) სტაბილურობა, ინოვაცია და რისკი;

გ) სტაბილურობა, ინოვაცია და რისკი, ყურადღება დეტალებზე,შედეგებზე ორიენტაცია,ადამიანებზე ორიენტაცია;

დ) სტაბილურობა, ინოვაცია და რისკი, ყურადღება დეტალებზე,შედეგებზე ორიენტაცია,ადამიანებზე ორიენტაცია, გუნდზე ორიენტაცია, აგრესიულობა

13. ძლიერი კულტურის კრიტერიუმებია:

ა)ფართოდ გაზიარებული ფასეულობები;
ბ)კულტურა ეფუძნება მუდმივ შეტყობინებას, თუ რა არის მნიშვნელოვანი;
გ)ძლიერი კავშირი გაზიარებულ ფასეულობებსა და ქცევებს შორის.
დ) ყველა პასუხი სწორია.

14. **სოციალიზაცია არის:**

ა) პროცესი, რომელიც ეხმარება თანამშრომელს, გაითავისოს ორგანიზაციის კულტურა.;

ბ) პროცესი, რომელიც ეხმარება თანამშრომელს, იპოვოს თავისი ადგილი

გ) პროცესი, რომელიც ეხმარება თანამშრომელს, არ შეითვისოს ორგანიზაციის კულტურა.;

დ) ყველა პასუხი სწორია.

15. **თაობათა თეორიის მიხედვით, ბეიბი ბუმერები (Baby Boomers). არის ტაობა, რომლებიც დაიბადნენ:**
    ა)1978-1994 წლებში;
    ბ)1946-1964 წლებში;
    გ) 1994- 2001 წლებში;
    დ) 2001 წლის შემდეგ.
16. **სამუშაო ადგილის სულიერება მნიშვნელოვანია თანამედროვე გარემოში. თანამშრომლები ეძებენ გზებს, რომ გაუმკლავდნენ სტრესს და ცხოვრების ტურბულენტური ტემპის წნეხს. თანამედროვე ცხოვრების სტილი – მარტოხელა მშობლის ოჯახი, გეოგრაფიული მობილობა, დროებითი სამუშაო, ეკონომიკური გაურკვევლობა, ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანების ერთმანეთისგან დისტანცირებას – განაპირობებს ურთიერთობების ნაკლებობას, რომელსაც მრავალი ადამიანი გრძნობს**
    ა) ზემოთმოტანილი აზრი ხსნის სამუშაო ადგილის სულიერების არსს;
    ბ) ზემოთმოტანილი აზრი ეწინააღმდეგება სამუშაო ადგილის სულიერების არსს;
    გ) სამუშაო ადგილის სულიერება , როგორც ტერმინი არ არსებობს;
    დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

17. ყოვლისშემძლე მენეჯერის ხედვის მიხედვით:

ა) მენეჯერები არიან პირდაპირი პასუხისმგებლები ორგანიზაციის წარმატებასა და წარუმატებლობაზე;

ბ) ორგანიზაციის წარმატების ან წარუმატებლობის უმეტესობა არის მენეჯერის კონტროლს მიღმა
გ) ა და ბ პასუხებია სწორი

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

18. მომხმარებელზე ორიენტირებულ კულტურას აქვს შემდეგი მახასიათებლები:

ა) თანამშრომლები, რომლებიც არიან კეთილსინდისიერნი მომხმარებლისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილში.
ბ) უფლებამოსილებებით აღჭურვა; ნათელი როლები და მოლოდინები; თანამშრომლები, რომლებიც არიან კეთილსინდისიერნი მომხმარებლისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილში.
გ) მეგობრული თანამშრომლები; სამუშაოები მცირე რაოდენობის მოუქნელი წესებით, პროცედურებით და
დ) მეგობრული თანამშრომლები; სამუშაოები მცირე რაოდენობის მოუქნელი წესებით, პროცედურებით და რეგულაციით; უფლებამოსილებებით აღჭურვა; ნათელი როლები და მოლოდინები; თანამშრომლები, რომლებიც არიან კეთილსინდისიერნი მომხმარებლისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილში.

19. **პაროქიალიზმი არის:**
   ა) მსოფლიოს მხოლოდ საკუთარი პერსპექტივის პრიზმიდან ხედვა, რომელსაც შედეგად ხალხთა შორის განსხვავებების აღქმის უუნარობა მოჰყვება.
   ბ)რწმენა, რომ მშობლიური ქვეყნის სამუშაო მიდგომები და პრაქტიკა საუკეთესოა.
   გ) მსოფლიოზე ორიენტირებული ხედვა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს გლობალური მასშტაბით საუკეთესო კადრებისა და მიდგომების გამოყენებაზე
   დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
20. **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) 185** ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაციაა, რომელიც:
   ა) ხელს უწყობს საერთაშორისო მონეტარულ თანამშრომლობას და პოლიტიკურ კონსულტაციას უწევს წევრ ქვეყნებს;
   ბ)გასცემს დროებით სესხებსა და ტექნიკურ დახმარებას, რათა დაამყაროს და შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა და გააძლიეროს ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.
   გ)ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს მსოფლიოში.
   დ) ყველა პასუხი სწორია
21. **გლობალური სორსინგი არის:**

ა) ნედლეულისა და შრომის შესყიდვა მსოფლიოში იქ, სადაც ის ყველაზე იაფია;.

ბ)ნედლეულისა და შრომის შესყიდვა მსოფლიოში იქ, სადაც ის ყველაზე ახლოა;

გ)ნედლეულისა და შრომის შესყიდვა მსოფლიოში იქ, სადაც ის ყველაზე დაბალი ინფლაციაა;.

დ)ნედლეულისა და შრომის შესყიდვა მსოფლიოში იქ, სადაც ის ყველაზე მიმზიდველია გეოგრაფიულად.

22. **სტრატეგიული ალიანსი:**

ა), წარმოადგენს პარტნიორულ კავშირს ორგანიზაციასა და უცხოურ კომპანიას შორის, რომელიც აერთიანებს ორივე მხარის რესურსსა და ცოდნას ახალი პროდუქტებისა და საწარმოო შესაძლებლობების განვითარებისთვის

ბ)წარმოადგენს პარტნიორულ კავშირს ორგანიზაციასა და უცხოურ კომპანიას ან კომპანიებს შორის, რომელიც აერთიანებს ორივე მხარის რესურსსა და ცოდნას ახალი პროდუქტებისა და საწარმოო შესაძლებლობების განვითარებისთვის

გ)წარმოადგენს პარტნიორულ კავშირს ორგანიზაციასა და ორ უცხოურ კომპანიას შორის, რომელიც აერთიანებს ორივე მხარის რესურსსა და ცოდნას ახალი პროდუქტებისა და საწარმოო შესაძლებლობების განვითარებისთვის

დ)წარმოადგენს პარტნიორულ კავშირს ორგანიზაციასა და სამ უცხოურ კომპანიას შორის, რომელიც აერთიანებს ორივე მხარის რესურსსა და ცოდნას ახალი პროდუქტებისა და საწარმოო შესაძლებლობების განვითარებისთვის

23. **გლობალური ლიდერობისა და ორგანიზაციული ქცევის ეფექტურობის (GLOBE) პროგრამა არის:**

ა) კვლევითი პროგრამა, რომელიც სწავლობს ლიდერობის კულტურულ ქცევებს.

ბ)კვლევითი პროგრამა, რომელიც სწავლობს ლიდერობის ეროვნული კულტურულისთვის დამახასიათებელ ქცევებს.

გ)კვლევითი პროგრამა, რომელიც სწავლობს ლიდერობის კროსკულტურულ ქცევებს.

დ)კვლევითი პროგრამა, რომელიც სწავლობს კროსკულტურულ ქცევებს.

24. **კულტურული ცნობიერება არის კულტურული გათვიცნობიერებულობისა და მგრძნობიარობის უნარი და მოიცავს შემდეგ განზომილებებს:**

ა) კულტურის, როგორც კონცეფციის ცოდნას - რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კულტურები და რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანის ქცევაზე;

ბ) ყურადღებიანობას - უნარი, ყურადღება მიაქციო სიგნალებსა და რეაქციებს განსხვავებულ კროსკულტურულ სიტუაციებში;

გ) ქცევით უნარებს საკუთარი ცოდნის და ყურადღების გამოყენება - იმ მიზნით, რომ შესაფერისად მოიქცე კონკრეტულ სიტუაციებში;

დ) ყველა პასუხი სწორია.

25. **გლობალური აზროვნება არის თვისებები, რომლებიც ლიდერს საშუალებას აძლევს, იყოს ეფექტური კროსკულტურულ გარემოში, მისი კომპონენტებია:**

ა) ინტელექტუალური კაპიტალი: საერთაშორისო ბიზნესის ცოდნა და უნარები იმისთვის, რათა გაიგო, როგორ მუშაობს ბიზნესი გლობალური მასშტაბით

ბ) ფსიქოლოგიური კაპიტალი: გახსნილობა ახალი იდეებისა და გამოცდილებების მიმართ

გ) სოციალური კაპიტალი: კავშირების დამყარებისა და შენგან განხსვავებულ ადამიანებთან სანდო ურთიერთობების შენების უნარი

დ) ყველა პასუხი სწორია.

26. დღევანდელ მსოფლიოში გლობალური ბიზნესსაქმიანობის მთავარ გამოწვევებს მიეკუთვნება :

ა) გლობალიზაციასთან დაკავშირებული ღიაობა და ქვეყნებს შორის კულტურული განსხვავებების მნიშვნელობა

ბ)გლობალური სამუშაო ძალის მენეჯმენტი, რომელიც მოითხოვს კულტურულ ცნობიერებასა და გლობალურ აზროვნებას

გ) კროსკულტურული მენეჯმენტი

დ) ა და ბ პასუხებია სწორი

27. **სოციალურ-ეკონომიკური ხედვა არის** შეხედულება, რომ:

ა) მენეჯერების სოციალური პასუხისმგებლობა სცილდება მოგების გამომუშავების ფარგლებს და მოიცავს საზოგადოების კეთილდღეობის დაცვას და გაუმჯობესებას.

ბ) შეხედულება, რომ მენეჯერის ერთადერთი სოციალური პასუხისმგებლობაა მოგების მაქსიმიზაცია.

გ) ფირმის შესაძლებლობა, განახორციელოს სოციალური ღონისძიებები, გარკვეული საჭირბოროტო სოციალური მოთხოვნების საპასუხოდ.

დ) ყველა პასუხი სწორია.

28. ჩვენ განვსაზღვრავთ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც ბიზნესის განზრახვას:

ა)რომელიც სცილდება მისი სამართლებრივი და ეკონომიკური ვალდებულებების ფარგლებს იმ მიზნით, რომ მოიქცეს სწორად და იმოქმედოს ისე, როგორც ეს საზოგადოებისთვის იქნება სასიკეთო.

ბ)რომელიც სცილდება მისი სამართლებრივი და ეკონომიკური ვალდებულებების ფარგლებს იმ მიზნით, რომ მოიქცეს სწორად და იმოქმედოს ისე, როგორც ეს კომპანიისთვის იქნება სასიკეთო.

გ) რომელიც სცილდება მისი სამართლებრივი და ეკონომიკური ვალდებულებების ფარგლებს იმ მიზნით, რომ მოიქცეს სწორად და იმოქმედოს ისე, როგორც ეს მენეჯერისთვის იქნება სასიკეთო.

დ)არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

29. მწვანე მენეჯმენტი არის:

ა) როდესაც მენეჯერები ითვალისწინებენ მათი ორგანიზაციების ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე;

ბ) როდესაც მენეჯერები არ ითვალისწინებენ მათი ორგანიზაციების ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე;

გ) როდესაც მენეჯერები დაბალ გარემოსდაცვით სენსიტიურობას ავლენენ;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

30. ეთიკას განვსაზღვრავთ, როგორც:

ა) ფასეულობებს, რომელიც განსაზღვრავს სწორ და არასწორ ქცევას;

ბ) პრინციპებს, რომელიც განსაზღვრავს სწორ და არასწორ ქცევას;

გ)პრინციპებს, ფასეულობებს და რწმენას, რომლებიც განსაზღვრავს სწორ და არასწორ ქცევას;

დ)რწმენას, რომელიც განსაზღვრავს სწორ და არასწორ ქცევას.

31. ადამიანის ეთიკურ ქცევას განსაზღვრავს:

ა) ორი სახის ინდივიდუალური მახასიათებელი - ფასეულობები და რწმენა;

ბ) ორი სახის ინდივიდუალური მახასიათებელი - ფასეულობები და პიროვნული თვისებები.

გ) ორი სახის ინდივიდუალური მახასიათებელი - რწმენა და პიროვნული თვისებები.

დ) ორი სახის ინდივიდუალური მახასიათებელი - მორალი და პიროვნული თვისებები.

32. **ეგოს სიძლიერე** განსაზღვრავს პიროვნების შეხედულებების სიმტკიცეს. ადამიანები, რომლებსაც ძლიერი ეგო აქვთ, სავარაუდოდ, გაუძლებენ არაეთიკურად მოქცევის იმპულსებს და, ამის ნაცვლად, საკუთარ შეხედულებებს მიჰყვებიან. ეს ნიშნავს, რომ ძლიერი ეგოს მქონე ადამიანები, სავარაუდოდ, გააკეთებენ იმას, რაც სწორად მიაჩნიათ და უფრო თანმიმდევრული იქნებიან მსჯელობასა და მოქმედებებში, ვიდრე სუსტი ეგოს მქონე ადამიანები.

ა) ზემოთმოტანილი აზრი ხსნის ეგოს არსს;

ბ) ზემოთმოტანილი აზრი ვერ ხსნის ეგოს არსს;

გ) ზემოთმოტანილი აზრი ალოგიკურია;

დ) ზემოთმოტანილი აზრი არარელევანტურია.

33. **ფასეულობებზე დაფუძნებული მენეჯმენტი:**

ა) ორგანიზაციის ფასეულობები მიუთითებს თანამშრომლებს, თუ როგორ უნდა გახდნენ კროსკულტურულები;

ბ) ორგანიზაციის ფასეულობები მიუთითებს თანამშრომლებს, თუ როგორ უნდა შეასრულონ მათ სამუშაო;

გ) ორგანიზაციის ფასეულობები მიუთითებს თანამშრომლებს, თუ როგორ უნდა გახდნენ ლიდერები;

დ) ორგანიზაციის ფასეულობები მიუთითებს თანამშრომლებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სამუსაო ადგილზე.

34. გაეროს გლობალური ხელშეკრულება სთხოვს კომპანიებს, გაავრცელონ, მხარი დაუჭირონ და აამოქმედონ მათი გავლენის სფეროში რიგი ძირეული ფასეულობები ადამიანის უფლებების დაცვის, შრომის სტანდარტების, გარემოს დაცვის და კორუფციასთან ბრძოლის სფეროებში, კერძოდ:

ა) ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს საერთაშორისოდ მიღებულ ადამიანის უფლებებს, მათი გავლენის სფეროში;

ბ) დასაქმებასთან და პროფესიასთან დაკავშრებით დისკრიმინაციის გამორიცხვა.

გ) ბიზნესი უნდა მოქმედებდეს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, გამომძალველობისა და მექრთამეობის ჩათვლით.

დ) ყველა პასუხი სწორია

35. ეთიკის კოდექსის შემუშავებისას მენეჯერებმა უნდა გამოიყენონ შემდეგი რჩევები:

ა) ორგანიზაციის ლიდერებმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ქცევის მოდელირება და იმათი წახალისება, ვინც ეთიკურად იქცევა.

ბ)მენეჯერებმა მუდმივად უნდა გაუსვან ხაზი ეთიკის კოდექსის მნიშვნელობას და მუდმივად გამოიყენონ დისციპლინარული სასჯელი დამრღვევების მიმართ.

გ)ეთიკის კოდექსის სრულყოფისას საჭიროა ორგანიზაციასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების (თანამშრომლების, მომხმარებლების და ა.შ.) გათვალისწინება.

დ) ყველა პასუხი სწორია

36. **ეთიკური ლიდერობა ნიშნავს:**

ა) იყო როლური მოდელი, ეთიკურიც და პატიოსანიც ; ყოველთვის თქვა სიმართლე.

ბ) არ დამალო ინფორმაცია და არ მოახდინო მანიპულირებ;. იყო მზად საკუთარი მარცხის აღიარებისთვის.
გ) გაუზიარო შენი პირადი ფასეულობები თანამშრომლებს რეგულარულად ინფორმირების გზი;.
გამოიყენო წახალისების სისტემა, რათა ყველა ანგარიშვალდებული იყოს ფასეულობების თვალსაზრისით.
დ) ყველა პასუხი სწორია

37. **სოციალური მეწარმე :**

ა) ინდივიდუალური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ეძებს შესაძლებლობებს, გააუმჯობესოს საზოგადოება პრაქტიკული, ინოვაციური და მდგრადი მიდგომებით

ბ) ინდივიდუალური პირი , რომელიც ეძებს შესაძლებლობებს, გააუმჯობესოს საზოგადოება პრაქტიკული, ინოვაციური და მდგრადი მიდგომებით

გ)იორგანიზაცია, რომელიც ეძებს შესაძლებლობებს, გააუმჯობესოს საზოგადოება პრაქტიკული, ინოვაციური და მდგრადი მიდგომებით

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

38. რამდენადაც ეთიკური სტანდარტები უნივერსალური არაა, მენეჯერებმა უნდა იცოდნენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი -არა კანონის მიხედვით, როგორც ეს განსაზღვრულია საზღვარგარეთ კორუფციული პრაქტიკის შესახებ აქტში. ასევე მნიშვნელოვანია ნებისმიერი კულტურული განსხვავებების აღიარება და ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების გარკვევა თანამშრომლებისთვის, რომლებიც სხვადასხვა გლობალურ ადგილებში მუშაობენ. დაბოლოს, მენეჯერებმა უნდა იცოდნენ გლობალური ხელშეკრულებისა და ანტიკორუფციული კონვენციის პრინციპების შესახებ.

ა) ზემოთმოტანილი აზრი ხსნის კორპორატიული ეთიკის არსს;

ბ) ზემოთმოტანილი აზრი ვერ ხსნის კორპორატიული ეთიკის არსს;

გ) ზემოთმოტანილი აზრი ალოგიკურია;

დ) ზემოთმოტანილი აზრი არარელევანტურია.

39. მენეჯერების ქცევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის გადაწყვეტილებაზე, იმოქმედოს ეთიკურად თუ არაეთიკურად. მენეჯერების მიერ ეთიკური ქცევის წახალისების კონკრეტული მიმართულებებია:

ა)ყურადღების გამოჩენა თანამშრომლების შერჩევისას; ეთიკის კოდექსის ქონა და მისი პრაქტიკული გამოყენება; ეთიკური ლიდერის როლის მნიშვნელობის აღიარება,

ბ)გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება იმისათვის, თუ რას და როგორ აკეთებენ იმასთან შედარებით, რასაც ამბობენ; იმის უზრუნველყოფა, თუ სამუშაოს შეფასების პროცესი რამდენად აძლევს სტიმულს მიზნების მიღწევას და იმის გათვალისწინება, თუ რა გზით იქნა მიღწეული ეს მიზნები;

გ)ეთიკის ტრენინგების და დამოუკიდებელი სოციალური აუდიტის გამოყენება; დამცავი მექანიზმების შექმნა.

დ) ყველა პასუხი სწორია

40. სოციალური მეწარმეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ეძიებენ რა შესაძლებლობას, გააუმჯობესონ საზოგადოება პრაქტიკული, ინოვაციური და სტაბილური მიდგომების გამოყენებით. სოციალურ მეწარმეებს სურთ, უკეთესი გახადონ სამყარო და გააჩნიათ სათანადო მამოძრავებელი ძალა ამისთვის. ბიზნესს შეუძლია ხელი შეუწყოს პოზიტიურ სოციალურ ცვლილებებს, კორპორაციული ქველმოქმედებისა და თანამშრომლების მოხელისედ მუშაობის ხელშეწყობის გზით.

ა) ზემოთმოტანილი აზრი ხსნის სოციალური მეწარმეების არსს;

ბ) ზემოთმოტანილი აზრი არ ეხება სოციალურ მეწარმეებს ;

გ) ზემოთმოტანილი აზრი ეხება სოციალურ ვალდებულებას;

დ) ზემოთმოტანილი აზრი ეხება სოციალური რეაგირებას.

41. გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს მიეკუთვნება:

ა) პრობლემის იდენტიფიცირება

ბ) ალტერნატივების შემუშავება

გ) ა და ბ პასუხი სწორია

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

42. შეზღუდული რაციონალურობა არის:

ა) ლოგიკური და თანმიმდევრული არჩევანი

ბ) რაციონალური, მაგრამ ინდივიდუალური უნარით ლიმიტირებული გადაწყვეტილება

გ) გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

43. მენეჯერის გადაწყვეტილების ტიპებია:

ა) სწორხაზოვანი და სტრუქტურირებული

ბ) მტკიცებულებაზე დაფუძნებული და დაპროგრამებული

გ) რაციონალური და ინოვაციური

დ) დაპროგრამებული და სტრუქტურირებული

44. გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება:

ა) განსაზღვრულობის პირობებში

ბ) განუსაზღვრელობის პირობებში

გ) განსაზღვრულობის, რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში

დ) რისკის პირობებში

45. წრფივი აზროვნების სტილი გულისხმობს

ა) რაციონალურს

ბ) ლოგიკურს და ანალიტიკურს

გ) კრეატიულს

დ) ა და ბ პასუხი სწორია

46. ინტუიცია და წინათგრძნობა დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების

ა) წრფივი აზროვნების სტილთან

ბ) არაწრფივი აზროვნების სტილთან

გ) ა და ბ პასუხი სწორია

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

47. ეფექტური გადაწყვეტილება ხასიათდება:

ა) ობიექტური და სუბიექტური აზროვნებით

ბ) ლოგიკურობით და თანმიმდევრულობით

გ) მნიშვნელოვან გარემოებებზე ფოკუსირებით

დ) ყველა პასუხი სწორია

48. მენეჯერების მიერ გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მიეკუთვნება:

ა) დაგეგმვა და ლიდერობა

ბ) ინტუიცია და წინათგრძნობა

გ) ცოდნა და გამოცდილება

დ) რაციონალურობა

49. გადაწყვეტილების ეფექტიანობის შეფასება მიეკუთვნება

ა) გადაწყვეტილების მიღების პროცესს

ბ) ალტერნატივების ანალიზის პროცესს

გ) გადაწყვეტილების კრიტერიუმებს

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

50. დაპროგრამებულ გადაწყვეტილებებს მიეკუთვნება:

ა) პოლიტიკა

ბ) პროცედურა

გ) წესი

დ) ყველა პასუხი სწორია

51. ორგანიზაციული ცვლილება გულისხმობს:

ა) ცვლილებების პროცესზე შეხედულებებს

ბ) ადამიანების, სტრუქტურისა და ტექნოლოგიის გარდაქმნას

გ) სამუშაო პროცესის ცვლილებას

დ) მომხმარებელთა სურვილების ცვლილებას

52. ცვლილების აგენტი არის:

ა) ადამიანი, ვინც იწვევს ცვლილებებს

ბ) ადამიანი, რომელიც თავის თავზე იღებს ცვლილების მართვაზე პასუხისმგებლობას

გ) ნებისმიერი მენეჯერი

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

53. ცვლილებებისადმი ადამიანთა წინააღმდეგობის ერთერთი მიზეზია:

ა) ჩვეულება

ბ) კულტურა

გ) პოლიტიკა

დ) უკუკავშირი

54. ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის შემცირება შესაძლებელია:

ა) შეთანხმებით

ბ) თანადგომით და მხარდაჭერით

გ) მანიპულირებით

დ) ყველა პასუხი სწორია

55. სტრესის სიმპტომებს მიეკუთვნება:

ა) სამუშაო ძალის დენადობა

ბ) დაძაბულობა

გ) ა და ბ პასუხი სწორია

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

56. ცვლილების წარმატებით განხორციელებისთვის ერთერთი აუცილებელი კომპონენტია

ა) საკუთარი როლის გააზრება ცვლილების პროცესში

ბ) სამუშაო ძალის მოტივირება

გ) ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილება

დ) კრეატიულობა

57. ინოვაციის სტიმულირება ნიშნავს:

ა) სიახლის აღმოჩენას

ბ) ახალი იდეების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობას

გ) სიახლის ძიებას

გ)მიზნობრივი ჯგუფების შექმნას

58. ადამიანური რესურსების ცვლადები მოიცავს

ა) ორგანიზაციის სტრუქტურას

ბ) სამსახურებრივ მხარდაჭერას

გ) სწავლებასა და განვითარებას

დ) პოზიტიურ უკუკავშირს

59. ინოვაციურ ორგანიზაციებს ახასიათებთ:

ა) მკაცრი კონტროლი

ბ) ტოლერანტობა

გ) არაპრაქტიკულობა

დ) რისკისადმი ტოლერანტობა

60. აზროვნების დიზაინი გულისხმობს

ა) აზროვნების ფორმირებას

ბ) მომხმარებელთა რეალური პრობლემების შესწავლას და გარდაქმნას

გ) ინოვაციურობას

დ) ყველა პასუხი სწორია

61. დაგეგმვა მოიცავს

ა) მიზნების განსაზღვრას

ბ) კრიტიკულ აზროვნებას

გ) კრეატიულობას

დ) ცვლილებებს

62. დაგეგმვის მიზანია

ა) ცვლილებების განხორციელება

ბ) კონტროლის განხორციელება

გ) მენეჯერებისა და სხვა თანამშომლებისთვის მიმართულების განსაზღვრა

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

63. დაგეგმვისა და შედეგების ურთიერთკავშირი დამოკიდებულია

ა) მიზნებზე

ბ) ამოცანებზე

გ) შედეგებზე

დ) დაგეგმვის დროით ჩარჩოებზე

64. არსებობს მიზნების შემდეგი ტიპები:

ა) ზუსტი და არაზუსტი

ბ) გაცხადებული და რეალური

გ) ერთჯერადი და რეგულარული

დ) სტრატეგიული და ოპერაციული

65. არსებობს გეგმის შემდეგი ტიპები:

ა) მიმართულებითი და სპეციფიკური

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი

გ) სტრატეგიული და ოპერაციული

დ) ყველა პასუხი სწორია

66. რეგულარული გეგმა არის

ა) სპეციფიკური გეგმა

ბ) ერთჯერადი გეგმა

გ) მუდმივად განხორციელებადი გეგმა

დ) ყველა პასუხი სწორია

67. ტრადიციული მიდგომის მიხედვით მიზნები განისაზღვრება

ა) მენეჯმენტის საშუალო დონეზე

ბ) მენეჯმენტის უმაღლეს დონეზე

გ) მენეჯმენტის ძირეულ დონეზე

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი

68. კარგად აღწერილი მიზნები:

ა) რაოდენობრივია და გაზომვადი

ბ) დროითი მონაკვეთი ნათელია

გ) გამომწვევია მაგრამ მიღწევადი

დ) ყველა პასუხი სწორია

69. **გარემოს სკანირება გამოიყენება:**

ა) გარემოს ანალიზის გაუმჯობესებისათვის

ბ) გადაწყვეტილების მისაღებად

გ) მომავლის განჭვრეტისთვის

დ) კონკურენტთა შესასწავლად

70. **დაგეგმვაში დინამიკური გარემო გულისხმობს:**

ა) გარემოს ცვლილებებს

ბ) დაგეგმვის მუდმივობას

გ) გეგმების სპეციფიკურ, მაგრამ მოქნილ შემუშავებას

დ) გეგმების თანმიმდვრულ შემუშავებას

71. **ორგანიზაციის სტრატეგიების განსავითარებლად მენეჯერები მიმართავენ:**

ა) კონკურენტების შესწავლას

ბ) ბიზნესპროცესების ანალიზს

გ) ბეზნესის მოდელის განსაზღვრას

დ) სტრატეგიულ მენეჯმენტს

72. **სტრატეგიულ მენეჯმენტში ბიზნესის მოდელი გულისხმობს:**

ა) ბიზნესპროცესების განსაზღვრას

ბ) იმას, თუ როგორ აპირებს კომპანია ფულის შოვნას

გ) ბაზრის შესწავლას

დ) კონკურენტებზე ზემოქმედებას

73. **სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:**

ა) გარე ანალიზის განხორციელება

ბ) სტრატეგიების ფორმულირება

გ) სტრატეგიების იმპლემენტაცია

დ) ყველა პასუხი სწორია

74. **შიდა ანალიზის განხორციელება გულისხმობს:**

ა) ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას

ბ) ორგანიზაციის SWOT ანალიზის განხორციელებას

გ) ორგანიზაციის რესურსების განსაზღვრას

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი

75. **არსებობს სტრატეგიების შემდეგი ტიპები :**

ა) ორგანიზაციული, კონკურენტული და ფუნქციური

ბ) კორპორაციული, პოტენციური და რეალური

გ) კორპორაციული, კონკურენტული და ფუნქციური

დ) ყველა პასუხი სწორია

76. **კორპორაციული სტრატეგია განსაზღვრავს:**

ა) რომელ ბიზნესშია კომპანია

ბ) რომელ ბიზნესში სურს რომ იყოს

გ) რისი გაკეთება უნდა კონკრეტულ ბიზნესში

დ) ყველა პასუხი სწორია

77. **კორპორაციული სტრატეგიები მოიცავს სტრატეგიების შემდეგ ტიპებს:**

ა) წარმოების, განახლების და ზრდის სტრატეგია

ბ) ზრდის, სტაბილურობის და განახლების სტრატეგია

გ) განვითარების, განახლების და ზრდის სტრატეგია

დ) წარმოების, ზრდის და განვითარების სტრატეგია

78. **პორტერის სამი კონკურენტული სტრატეგია მდგომარეობს შემდეგში:**

ა) ლიდერობა დანახარჯებში, დიფერენციაცია და ფოკუსირება

ბ) დიფერენციაცია, ზრდა და განვითარება

გ) განახლება, ზრდა და ფოკუსირება

დ) ლიდერობა დანახარჯებში, დიფერენციაცია და განახლება

79. **პირველი ინიციატორის როლი გულისხმობს:**

ა) ახალი მეთოდების დანერგვას

ბ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვას

გ) ინოვაციური პროდუქტის შემოტანას ბაზარზე

დ) კონკურენტულ უპირატესობას

80. **ეფექტური სტრატეგიული ლიდერობის უზრუნველყოფა შესაძლებელია:**

ა) ორგანიზაციის მიზნის ან ხედვის განსაზღვრით

ბ) ადამიანური კაპიტალის განვითარებით

გ) ძლიერი ორგანიზაციული კულტურის შექმნით და შენარჩუნებით

დ) ყველა პასუხი სწორია

81. ის, რასაც მენეჯერები მიმართავენ ორგანიზაციის სტრატეგიების განსავითარებ-ლად, მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის ყველა მნიშვნელო-ვან ფუნქციას – დაგეგმვას, ორგანიზებას, ლიდერობასა და კონტროლს არის:

ა)სტრატეგიული მენეჯმენტი

ბ)სტრატეგიული ბიზნეს-გეგმა

გ)ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტი

დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

82. რა არის ორგანიზაციის სტრატეგიები:

ა)ეს არის გეგმები, თუ როგორ უნდა წარიმართოს ორგანიზაციის საქმია-ნობა, რა ბიზნესსაც არ უნდა ეწეოდეს

ბ)ეს არის გეგმები, თუ როგორ უნდა განახორციელოს კონკურენცია წარ-მატებით

გ)ეს არის გეგმები, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებელი, რომ თავის მიზნებს მიაღწიოს

დ) ყველა პასუხი სწორია

83. ბინზეს მოდელი ფოკუსირდება ორ მომენტზე:

A. დააფასებს თუ არა მომხმარებელი იმას, რასაც კომპანია სთავაზობს
B. შეუძლია თუ არა კომპანიას რამის კეთებით ფულის შოვნა

ა)სწორია მხოლოდ A

ბ)სწორია მხოლოდ B

გ)არცერთი პასუხი არაა სწორი

დ)ორივე პასუხი სწორია

84. აქტივი (ფინანსური, ფიზიკური, ადამიანური და არამატერიალური), რომელსაც ორგანიზაცია იყენებს განვითარებისა და წარმოებისთვის, ასევე, პროდუქციის მომ-ხმარებლისთვის მისაწოდებლად არის:

ა)ორანიზაციის პოტენციალი

ბ)ორგანიზაციის მისია
გ)ორგანიზაციის რესურსები
დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

85. ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის ერთიანობას ეწოდება :

ა)SWOT ანალიზი
ბ)BCG მატრიცა
გ)ეფექტური სტრატეგია
დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

86. ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხია სწორი :

ა)ორგანიზაცია სტრატეგიების სამ ტიპს იყენებს: კორპორაციულს, კონკურენტულსა და ფუნქციურს
ბ)სტაბილურობის სტრატეგია კორპორაციული სტრატეგიაა, რომელშიც ორგანიზაცია აგრძელებს მიმდინარე საქმიანობას
გ)მენეჯერებმა უნდა განავითარონ სტრატეგიები – განახლების სტრატეგიები, რომელმაც უნდა გადაჭრას შედეგიანობის შემცირების პრობლემა. განახლების სტრატეგიების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – ხარჯების შემცირებისა და შემობრუნების სტრატეგიები
დ)ყველა პასუხი სწორია

87. სტრატეგიას, თუ როგორ განახორციელებს ორგანიზაცია კონკურენციას იმ ბიზნეს(ებ)ში, რომელშიც მოღვაწეობს, ეწოდება:

ა)კონკურენტული სტრატეგია
ბ)სტაბილურობის სტრატეგია
გ)ზრდის სტრატეგია
დ)კორპორაციული სტრატეგია

88. **განჭვრეტის, შთაგონების, მოქნილობის შენარჩუნების, სტრატეგიული ფიქრის და ორგანიზაციაში სხვებთან მუშაობის შესაძლებლობა იმ ცვლილებების ინიცირებისთვის, რომელიც ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიან და ღირებულ მომავალს შექმნის, არის :**

ა)ფუნქციური სტრატეგიები
ბ)სტრატეგიული ლიდერობა
გ)სტრატეგიული მოქნილობა
დ)ელექტრონული ბიზნეს სტრატეგიები

89. **ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი :**

ა)მენეჯერები ელექტრონული ბიზნესის სტრატეგიებს იყენებენ მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად
ბ)დანახარჯებში ლიდერს შეუძლია გამოიყენოს ელექტრონული ბიზნესი ხარჯების შესამცირებლად. მაგალითად, შეიძლება გამოიყენოს ონლაინაუქციონები და დაავალოს პროცესინგს, გააუქმონ გაყიდვების ზარების საჭიროება და შეამცირონ გაყიდვების მუშახელის ხარჯები და სხვა
გ)ბიზნესმა შესაძლებელია გამოიყენოს ინტერნეტზე ბაზირებული ცოდნის სისტემები იმ დროის შესამცირებლად, რომელიც საჭიროა მომხმარებლის მოთხოვნაზე საპასუხოდ, უზრუნველყოს სწრაფი ონლაინრეაგირება ან შესყიდვისა და გადახდის სისტემების ავტომატიზება
დ)ყველა პასუხი სწორია

90. **სამომხმარებლო სერვისის სტრატეგიები:**

ა)არის სტრატეგიები, რომლებიც აქცენტირებული არიან კარგ სამომხმარებლო სერვისზე, სჭირდებათ სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ამ ატმოსფეროს სრულყოფილად კულტივირება.
ბ)განჭვრეტის, შთაგონების, მოქნილობის შენარჩუნების, სტრატეგიული ფიქრის და ორგანიზაციაში სხვებთან მუშაობის შესაძლებლობა იმ ცვლილებების ინიცირებისთვის, რომელიც ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიან და ღირებულ მომავალს შექმნის,
გ)ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის ერთიანობა
დ)ყველა პასუხი სწორია

91. **რატომ არის კონტროლი მნიშვნელოვანი ?**

ა)კონტროლი მნიშვნელოვანია, რადგან ის ერთადერთი გზაა მენეჯერების მიერ იმის შესამოწმებლად, მიიღწევა თუ არა ორგანიზაციული მიზნები.
ბ)თანამშრომელთა აღჭურვა უფლებებით. ბევრი მენეჯერი უარს ამბობს თანამშრომლებისთვის უფლებების მინიჭებაზე, რადგან ეშინიათ, რომ რაღაც შეიძლება გაფუჭდეს, რაზეც ისინი იქნებიან პასუხისმგებელნი
გ)კონტროლის მეშვეობით ხდება ორგანიზაციისა და მისი აქტივების დაცვა.
დ)ყველა პასუხი სწორია

92. **მენეჯერები იყენებენ ოთხ მიდგომას რეალური შედეგიანობის გაზომვისა და ანგარიშის წარმოდგენისთვის:**

ა)პირადი დაკვირვებები, სტატისტიკური ანგარიშები, ზეპირი მოხსენებები და წერილობითი მოხსენებები.
ბ)ორგანიზაციული ეფექტურობა, მწარმოებლურობა, ორგანიზაციული შედეგიანობის შეფასება, შედეგიანობა.
გ)პირადი დაკვირვებები, სტატისტიკური ანგარიშები, ორგანიზაციული შედეგიანობის შეფასება, შედეგიანობა.
დ)ორგანიზაციული ეფექტურობა, მწარმოებლურობა, ზეპირი მოხსენებები და წერილობითი მოხსენებები

93. **წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების რაოდენობის თანაფარდობა იმ საწარმოო ფაქტორების რაოდენობასთან, რომელიც საჭიროა გამოშვების მისაღებად არის:**

ა)ორგანიზაციული ეფექტურობა
ბ)მწარმოებლურობა
გ)დისციპლინარული ზომები
დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

94. **საზომი იმისა თუ რამდენად სათანადოა ორგანიზაციული მიზნები და რამდენად კარგად მიიღწევა ისინი არის :**

ა)ორგანიზაციული ეფექტურობა

ბ)მწარმოებლურობა
გ)დისციპლინარული ზომები
დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

95. მენეჯერის ქმედებები ორგანიზაციის სამუშაო სტანდარტებისა და რეგულაციების განსამტკიცებლად არის:

ა)ორგანიზაციული ეფექტურობა
ბ)მწარმოებლურობა
გ)დისციპლინარული ზომები
დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

96. ჩამოთვლილთაგან, რომელია ჭეშმარიტი:

ა)კონტროლის ყველაზე სასურველი ტიპია წინასწარი კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემების პრევენციას, რადგან ხორციელდება საქმიანობის რეალურად დაწყებამდე.
ბ)მიმდინარე კონტროლი- მიმდინარე კონტროლს, როგორც სიტყვა გვიჩვენებს, ადგილი აქვს სამუშაოს მიმდინარეობისას
გ)მიმდინარე კონტროლის ყველაზე ცნობილი ფორმაა პირდაპირი ხელმძღვანელობა. სხვანაირად ის მოიხსენიება, როგორც მენეჯმენტი გარშემო სიარულით, როდესაც მენეჯერი პირდაპირ ურთიერთობს მომუშავეებთან სამუშაო ადგილზე
დ)ყველა პასუხი სწორია

97. კონტროლი, რომელიც ხორციელდება სამუშაოს შესრულების შემდეგ ეწოდება :

ა)მიმდინარე კონტროლი
ბ)მენეჯმენტი გარშემო სიარულით
გ)უკუკავშირით კონტროლი
დ)შემდგომი კონტროლი

98. სისტემა, რომელიც გამოიყენება მენეჯერებისთვის საჭირო ინფორმაციის რეგულარულად მისაწოდებლად:

ა)მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა

ბ)მართვის საინფორმაციო სისტემა (მსს)
გ)საუკეთესო მეთოდების ბენჩმარკინგი
დ)ნიშნული/ბენჩმარკი

99. მომსახურების თანმიმდევრობა თანამშრომლებიდან მომხმარებლამდე მოგების მისაღებად. ამ კონცეფციის თანახმად, კომპანიის სტარტეგია და მომსახურების მიწოდების სისტემა ზემოქმედებს იმაზე, თუ როგორ ურთიერთობენ მომუშავეები მომხმარებლებთან, ანუ რამდენად პროდუქტიულები არიან ისინი მომსახურების მიწოდებისა და ამ მომსახურების ხარისხის ასპექტებით. არის :

ა)მომსახურებათა მოგების ჯაჭვი
ბ)კორპორაციული მართველობა
გ)მომხმარებლებთან ურთიერთობის კონტროლი
დ)მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა

100. სისტემა, რომელიც გამოიყენება კორპორაციის სამართავად ისე, რომ დაცული იყოს კორპორაციის მფლობელთა ინტერესები. არის:

ა)მომსახურებათა მოგების ჯაჭვი
ბ)კორპორაციული მართველობა
გ)მომხმარებლებთან ურთიერთობის კონტროლი
დ)მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა

101. ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ან ცვლილების პროცესი არის :

ა)ორგანიზაციული სტრუქტურა
ბ)ორგანიზაციული სქემა
გ)ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირება
დ)შრომის სპეციალიზაცია

102. ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირება მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას ექვს მთავარ ელემენტზე , ესენია:

ა)სამუშაოს სპეციალიზაცია, დეპარტამენტალიზაცია, ბრძანებათა ჯაჭვი, მართვის ნორმა, ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია; ფორმალიზაცია;

ბ)სამუშაოს სპეციალიზაცია, დეპარტამენტალიზაცია, ბრძანებათა ჯაჭვი, მართვის ნორმა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციული სქემა;
გ)ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციული სქემა, ბრძანებათა ჯაჭვი, მართვის ნორმა, ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია; ფორმალიზაცია;
დ)ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციული სქემა, ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირება, შრომის სპეციალიზაცია, დეპარტამენტიზაცია;

103. **დეპარტამენტებად დაყოფის რამდენი ფორმა გამოიყენება?**

ა)გამოიყენება 3 ფორმა: ინჟინერი. ბუღალტერი, წარმოება
ბ) გამოიყენება 4 ფორმა: ინჟინერი ბუღალტერი, წარმოება და შესყიდვები
გ)გამოიყენება 4 ფორმა: ინჟინერი ბუღალტერი, წარმოება და ადამიანური რესურსები
დ)გამოიყენება 5 ფორმა: ინჟინერი ბუღალტერი, წარმოება, ადამიანური რესურსები და შესყიდვები

104. რა არის ბრძანებათა ჯაჭვი:

ა)ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ან ცვლილების პროცესი
ბ)სამუშაო გუნდი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა სპეციალობის მქონე ინდივიდებისაგან.
გ)ძალაუფლების ხაზი ორგანიზაციის ზედა დონიდან ქვედა დონემდე, რომელიც განმარტავს, თუ ვინ ვის წინაშეა ანგარიშვალდებული
დ)ყველა ზევით ჩამოთვლილი

105. რა არის კროსფუნქციური გუნდი:

ა)სამუშაო გუნდი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა სპეციალობის მქონე ინდივიდებისაგან.
ბ)ძალაუფლების ხაზი ორგანიზაციის ზედა დონიდან ქვედა დონემდე, რომელიც განმარტავს, თუ ვინ ვის წინაშეა ანგარიშვალდებული
გ)ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ან ცვლილების პროცესი

დ)სამუშაო გუნდი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა სპეციალობის მქონე ინ-დივიდებისაგან.

106. რას ეწოდება ძალაუფლება?

ა)ძალაუფლება დაქვემდებარებულების მხრიდან მისი მიღების სურვილიდან მომდინარეობს.

ბ)ადამიანებისთვის დავალების მიცემისა და მათგან ამ დავალების შესრულე-ბის მოთხოვნის მენეჯერული პოზიციისათვის დამახასიათებელი უფლება

გ)მენეჯერის მიერ თანამშრომლის მუშაობის მართვის უფლება

დ)ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

107. პოზიცია გარკვეული ძალაუფლებით, რომელიც ეხმარება, მხარს უჭერს და ხელს უწყობს ხაზობრივი ძალაუფლების მქონეთ, არის :

ა)ერთმმართველობა

ბ) საშტატო უფლებამოსილება

გ)პასუხისმგებლობა

დ)მართვის ნორმა

108. იმის დონე, თუ რამდენად კონცენტრირებულია გადაწყვეტილების მიღება ორ-განიზაციის მართვის ზედა რგოლში არის ?:

ა)დეცენტრალიზაცია

ბ)მომუშავეთა აღჭურვა უფლებამოსილებით

გ)ფორმალიზაცია

დ)ცენტრალიზაცია

109. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი:

ა)ორგანული (მოქნილი) ორგანიზაცია გამოირჩევა ადაპტაციის მაღალი უნა-რით, რაც მას უფრო მოქნილსა და თავისუფალს ხდის მექანისტური ორგანი-ზაციის სტრუქტურასთან შედარებით, რომელიც, თავის მხრივ, მეტად ხისტი, თუმცა სტაბილურია.

ბ)მექანისტური ორგანიზაცია (ბიუროკრატიული) სტრუქტურის ექვსი ელემენ-ტის შერწყმის ბუნებრივი შედეგია. ბრძანებათა ჯაჭვის პრინციპის დაცვამ უზ-რუნველყო ძალაუფლების ფორმალური იერარქიის შენარჩუნება, სადაც ერთი პიროვნება მეორის ზედამხედველობაშია.

გ)ფორმალიზაცია გვიჩვენებს, რამდენად სტანდარტიზებულია ორგანიზაცი-ული საქმიანობა და, წესებისა და პროცედურების მიხედვით, რა დონეზეა თანამშრომლის ქცევა გაწერილი

დ)დეცენტრალიზაცია არის მდგომარეობა, რომლის დროსაც გადაწყვეტილე-ბის მიღების პროცესი მიმდინარეობს ორგანიზაციის მართვის მაღალ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის ტოპმენეჯერები გადაწყვეტილებებს თა-ვად იღებენ ქვედა რგოლის მენეჯერების მცირედი ჩართულობით, ორგანიზა-ციაში მართვის პროცესი უფრო დეცენტრალიზირებულია

110. **ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი:**

ა)ორგანული (მოქნილი) ორგანიზაცია განსაზღვრავს, რამდენად სტანდარტი-ზებულია ორგანიზაციული საქმიანობა და რა ხარისხით განსაზღვრავს წესები და პროცედურები თანამშრომლის ქცევას.

ბ)მართვის სტრუქტურა ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც და-ბალია დეპარტამენტიზაციის დონე, მაღალია მართვის ნორმა, უფლებამოსი-ლება ცენტრალიზებულია ერთი პიროვნების ხელში და გააჩნია ფორმალი-ზაციის დაბალი დონე.

გ)დივიზიონური სტრუქტურა არის ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რო-მელიც აჯგუფებს მსგავსი ან ურთიერთდაკავშირებული პროფესიის სპეცია-ლისტებს.

დ)ფუნქციური სტრუქტურა არის ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომე-ლიც შედგება ცალკეული ბიზნესერთეულებისა და სამმართველოებისაგან.42 ამ სტრუქტურაში თითოეულ სამმართველოს შეზღუდული ავტონომია გააჩნი-ა, სადაც სამმართველოს მენეჯერს საკუთარი ერთეულის საქმიანობაზე უფლე-ბამოსილება და პასუხისმგებლობა აქვს

111. **ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი:**

ა)მატრიცული სტრუქტურისგან განსხვავებით, პროექტულ სტრუქტურას არ აქვს ფორმალური დეპარტამენტები, სადაც დასაქმებულები

დაბრუნდებიან პროექტის დასრულების შემდეგ. ამის ნაცვლად, დასაქმებულები იძენენ სპეციფიკურ უნარებს, შესაძლებლობებს და გამოცდილებას სხვა პროექტებისთვის

ბ)სტრუქტურული მოწყობა სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ჩამოყალიბდა მასიური კოლაიდერის ირგვლივ, სხვა თანამედროვე ორგანიზაციული დიზაინის მაგალითია, რომელსაც უწოდებენ ორგანიზაციას საზღვრების გარეშე. ეს არის ორგანიზაცია, რომლის დიზაინი არ არის განსაზღვრული ან შეზღუდული ჰორიზონტალური, ვერტიკალური ან გარე საზღვრებით, წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურიდან გამომდინარე.

გ)ქსელური ორგანიზაცია, რომელიც იყენებს: თავის მომუშავეებს – გარკვეული სამუშაო აქტივობების შესასრულებლად; და გარე მომწოდებლების ქსელებს – პროდუქციის სხვა საჭირო კომპონენტების ან სამუშაო პროცესების უზრუნველსაყოფად. ამ ორგანიზაციულ ფორმას ზოგჯერ უწოდებენ საწარმოო ფირმების მოდულარულ ორგანიზაციას (modular organization).16 მსგავსი მიდგომა ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას, კონცენტრირდნენ იმაზე, რის გაკეთებაც შეუძლიათ საუკეთესოდ,

დ)არცერთი პასუხი არაა მცდარი

112. **რას ეწოდება ქსელური ორგანიზაცია:**

ა)ორგანიზაცია, რომლის დიზაინი არ არის განსაზღვრული ან შეზღუდული ჰორიზონტალური, ვერტიკალური ან გარე საზღვრებით, წინასწარ განსაზღ-ვრული სტრუქტურიდან გამომდინარე.

ბ)ორგანიზაცია, რომელიც იყენებს საკუთარ თანამშრომლებს ზოგიერთი სამუ-შაოს შესრულებისთვის, და გარე მომწოდებლების ქსელს, რათა უზრუნველ-ყოს სხვა საჭირო პროდუქტების კომპონენტები ან სამუშაო პროცესები.

გ)ორგანიზაცია, რომელიც შედგება სრულ განაკვეთზე მომუშავე მცირე ბირ-თვისა და პროექტებზე სამუშაოდ დროებით დაქირავებული გარე სპეციალის-ტებისგან

დ) ყველა პასუხი სწორია

113. **რას ეწოდება ვირტუალური ორგანიზაცია:**

ა)ორგანიზაცია, რომლის დიზაინი არ არის განსაზღვრული ან შეზღუდული ჰორიზონტალური, ვერტიკალური ან გარე საზღვრებით, წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურიდან გამომდინარე.
ბ)ორგანიზაცია, რომელიც იყენებს საკუთარ თანამშრომლებს ზოგიერთი სამუშაოს შესრულებისთვის, და გარე მომწოდებლების ქსელს, რათა უზრუნველყოს სხვა საჭირო პროდუქტების კომპონენტები ან სამუშაო პროცესები.
გ)ორგანიზაცია, რომელიც შედგება სრულ განაკვეთზე მომუშავე მცირე ბირთვისა და პროექტებზე სამუშაოდ დროებით დაქირავებული გარე სპეციალისტებისგან
დ)ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

114. **ორგანიზაცია, რომლის დიზაინი არ არის განსაზღვრული ან შეზღუდული ჰორიზონტალური, ვერტიკალური ან გარე საზღვრებით, წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურიდან გამომდინარე არის:**

ა)ვირტუალური ორგანიზაცია
ბ)ქსელური ორგანიზაცია
გ)ორგანიზაცია საზღვრების გარეშე
დ)არცერთი პასუხი არაა სწორი

115. **ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი:**

ა)მიზნობრივი გუნდი არის სამუშაო გუნდი, რომელიც შედგება სხვადასხვა ფუნქციური სპეციალიალობის ინდივიდებისგან.
ბ)კროსფუნქციური ჯგუფი არის (სპეციალური კომიტეტი) დროებითი კომიტეტი ან ჯგუფი, ფორმირებული მოკლევადიანი სპეციფიკური პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც გავლენას ახდენს რამდენიმე დეპარტამენტზე
გ)პრაქტიკოსთა გაერთიანება არის ადამიანების ჯგუფები, რომლებიც იზიარებენ წუხილს, პრობლემებს ან შეგრძნებებს თემის შესახებ და იღრმავებენ ცოდნასა და გამოცდილებას ამ სფეროში მუდმივი ინტერაქციის გზით.
დ)ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

116. **ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი** :

ა)მოქნილი გრაფიკი (მოქნილი სამუშაო საათები) არის სამუშაო გრაფიკი, რომლითაც დასაქმებულებს მოეთხოვებათ მუშაობა განსაზღვრული საათების ოდენობით კვირის განმავლობაში, მაგრამ თავისუფალია ამ საათების ვარირება, გარკვეული შეზღუდვებით.

ბ)მოქნილი გრაფიკი (მოქნილი სამუშაო საათები) არის სამუშაო გრაფიკი, რომლითაც დასაქმებულებს არ მოეთხოვებათ მუშაობა გნსაზღვრული საათების ოდენობით თვეების განმავლობაში და არც გარკვეული შეზღუდვები არ არსებობს.

გ)პირობით მომუშავეები დროებითი არის შტატგარეშე ან კონტრაქტით მომუშავენი, რომელთა დასაქმება დამოკიდებულია მათი მომსახურების საჭიროებაზე.

დ)შემჭიდროებული სამუშაო კვირა არის სამუშაო კვირა, რომლის დროსაც თანამშრომლები მუშაობენ მეტ საათებს დღეში, მაგრამ ნაკლებ დღეებს – კვირაში.

117. დროებითი, შტატგარეშე ან კონტრაქტით მომუშავენი, რომელთა დასაქმება დამოკიდებულია მათი მომსახურების საჭიროებაზე არის?

ა)პირობით მომუშავეები

ბ)ადამიანური რესურსების დაგეგმვა

გ)არცერთი პასუხი არაა სწორი

დ)ორივე პასუხი სწორია

118. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი:

ა)პირობით მომუშავეები არიან დროებით, შტატგარეშე ან კონტრაქტით მომუშავენი, რომელთა დასაქმება დამოკიდებულია მათი მომსახურების საჭიროებაზე. ზოგიერთი ასეთ მომუშავეებს მოიხსენიებს, როგორც დამოუკიდებელ სამუშაო ძალას, რამდენადაც არ არსებობს დამოკიდებულებითი ურთიერთობა მომუშავესა და ორგანიზაციას შორის.

ბ)სამუშაოს გაზიარება არის სრული სამუშაო დროის გაყოფის პრაქტიკა ორი ან მეტი ადამიანის მიერ

გ)შემჭიდროებული სამუშაო კვირა არის სამუშაო კვირა, რომლის დროსაც თანამშრომლები მუშაობენ მეტ საათებს დღეში, მაგრამ ნაკლებ დღეებს – კვირაში
დ)არცერთი პასუხი არ არის მცდარი

119. რას ეწოდება სტრატეგიული პარტნიორობა:

ა)თანამშრომლობა ორ ან მეტ ორგანიზაციას შორის, რომლითაც ისინი აერთიანებენ თავიანთ რესურსებს და შესაძლებლობებს გარკვეული ბიზნეს მიზნებისთვის.
ბ)ორგანიზაციის საზღვრებს მიღმა ახალი იდეების ძიება და ორგანიზაციის შიგნით და გარეთ ინოვაციების იოლად გადაცემის საშუალების უზრუნველყოფა.
გ)თანამშრომლობა ორ ან მეტ ორგანიზაციას შორის, რომლითაც ახალი იდეების ძიება და ორგანიზაციის შიგნით და გარეთ ინოვაციების იოლად გადაცემის საშუალების უზრუნველყოფა ხდება.
დ)ყველა პასუხი მცდარია

120. რას ეწოდება ღია ინოვაცია?

ა) თანამშრომლობა ორ ან მეტ ორგანიზაციას შორის, რომლითაც ისინი აერთიანებენ თავიანთ რესურსებს და შესაძლებლობებს გარკვეული ბიზნესმიზნებისთვის.
ბ)ორგანიზაციის საზღვრებს მიღმა ახალი იდეების ძიება და ორგანიზაციის შიგნით და გარეთ ინოვაციების იოლად გადაცემის საშუალების უზრუნველყოფა.
გ)თანამშრომლობა ორ ან მეტ ორგანიზაციას შორის, რომლითაც ახალი იდეების ძიება და ორგანიზაციის შიგნით და გარეთ ინოვაციების იოლად გადაცემის საშუალების უზრუნველყოფა ხდება
დ)ყველა პასუხი მცდარია

121. **ორგანიზაციული ქცევა უკავშირდება:**

ა. მოგებას, ანუ მატერიალურ სიკეთეს;

ბ. ქცევის საგანს, ანუ ადამიანების ქმედებებს;

გ. კონკურენციას;

დ. ყველა პასუხი სწორია.

122. **ორგანიზაციული ქცევა შეისწავლის:**

ა. ინდივიდუალურ ქცევას;

ბ. ჯგუფურ ქცევას;

გ. ორგანიზაციულ ასპექტებს;

დ. ყველა პასუხი სწორია.

123. სამუშაოსა და სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების მიმართ თანამშრომლის დამოკიდებულების სახეებია:

ა. სამუშაოთი კმაყოფილება;

ბ. სამუშაოში ჩართულობა;

გ. ორგანიზაციის მიმართ ერთგულება

დ. ყველა პასუხი სწორია.

124. **კოგნიტური დისონანსის თეორიის მიზანია:**

ა. ხარჯებსა და მოგებას შორის კავშირის ახსნა;

ბ. შემოსავლებსა და ხარჯებს შორის კავშირის ახსნა;

გ. დამოკიდებულებასა და ქცევას შორის კავშირის ახსნა;

დ. ყველა პასუხი სწორია.

125. პიროვნულობის შეფასბის MBTI მეთოდით ხდება ადამიანების კლასიფიცირება მათ მიერ გამოხატული პრეფერენციების მიხედვით:

ა. ექსტრავერსია, ინტროვერსია, საღი აზრი;

ბ. ინტუიცია, აზროვნება, გრძნობა;

გ. მსჯელობა, აღქმა;

დ. ყველა პასუხი სწორია.

126. ემოციური ინტელექტი (EI) შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

ა. თვითანალიზი, თვითკონტროლი, თვითმოტივაცია, ემპათია, სოციალური უნარები;

ბ. თვითკონტროლი, თვითმოტივაცია, თვითრეალიზაცია, თვითშთაგონება, ემპათია;

გ. თვითრეალიზაცია, თვითშეფასება, სოციალური უნარები, მიზანსწრაფვა, თვითკონტროლი;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

127. პიროვნულობის მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანების ქცევას ორგანიზაციაში:

ა. კონტროლის ლოკუსი და მაკიაველიზმი;

ბ. თვითშეფასება და თვითმონიტორინგი;

გ. გარისკვა და მაკიაველიზმი;

დ. ყველა პასუხი სწორია.

128. ოპერანტული პირობითობა ამტკიცებს, რომ:

ა. ადამიანების ქცევის ფორმირება დამოკიდებულია მენეჯერის პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენებზე;

ბ. ადამიანები სწავლობენ ქცევას იმისათვის, რომ მიიღონ ის, რაც მათ სურთ ან თავიდან აიცილონ ის, რაც მათ არ სურთ;

გ. ადამიანების ქცევა მენეჯერების მიერ მათი სწავლის პროცესის მართვის, წახალისების და სტიმულირების ანარეკლია;

დ. ყველა პასუხი სწორია.

129. ადამიანზე ზემოქმედების სიდიდის მოდელები განისაზღვრება:

ა. ყურადღებასთან დაკავშირებული და შენარჩუნების პროცესებით;

ბ. შენარჩუნებისა და მამოძრავებელი პროცესებით;

გ. მამოძრავებელი რეპროდუქციის და გაძლიერების პროცესებით;

დ. ყველა პასუხი სწორია.

130. Y თაობას წარმოადგენს :

ა. ადამიანები რომლებიც დაახლოებით 1982-1997 წწ.-ში დაიბადნენ;

ბ. ადამიანები რომლებიც დაახლოებით 2008-2021 წწ.-ში დაიბადნენ;

გ. ადამიანები რომლებიც დაახლოებით 1991-2005 წწ.-ში დაიბადნენ;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

131. კომუნიკაცია მოიცავს:

ა. ინტერპერსონალურ და ორგანიზაციულ კომუნიკაციას;

ბ. ჰიბრიდულ და ინდივიდუალურ კომუნიკაციას;

გ. ინტელექტუალურ და შემეცნებით კომუნიკაციას;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

132. მენეჯერები კომუნიკაციის მეთოდების შესაფასებლად იყენებენ შემდეგ კომპონენტებს:

ა. უკუკავშირი და სირთულე;

ბ. პოტენციური მოცულობა და კონფიდენციალურობა;

გ. დაშიფვრის და გაშიფვრის სიმარტივე;

დ. ყველა პასუხი სწორია.

133. კომუნიკაციაში ბარიერს წარმოადგენს:

ა. ფილტრაცია;

ბ. თავდაცვა;

გ. ინფორმაციული გადატვირთვა;

დ. ყველა პასუხი სწორია.

134. მენეჯერს ეფექტური კომუნიკაციისთვის შეუძლია:

ა. ემოციების გამოვლენა და არავერბალური მინიშნებების აქტივაცია;

ბ. სუსტ მსმენელთა გამოვლენა და აქტიურ მსმენელებზე ორიენტაცია;

გ. უკუკავშირის გამოყენება და ენის გამარტივება;

დ. ყველა პასუხი სწორია.

135. კომუნიკაციის ნაკადის მიმართულებებია:

ა. ქვემოთ და ზემოთ მიმართული კომუნიკაცია;

ბ. ჰორიზონტალური კომუნიკაცია;

გ. დიაგონალური კომუნიკაცია;

დ. ყველა პასუხი სწორია.

136. ორგანიზაციული კომუნიკაციის ქსელის ტიპებია:

ა. ჰიბრიდული;

ბ. ჯაჭვური;

გ. მონოპოლიური;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

137. ახალი ტექნოლოგიებით განპირობებულ გამოწვევებს კომუნიკაციაში წარმოადგენს:

ა. სამართლებრივი საკითხები;

ბ. უსაფრთხოების საკითხები;

გ. პერსონალური ინტერაქციის ნაკლებობა;

დ. ყველა პასუხი სწორია.

138. მენეჯერების მიერ ეთიკური კომუნიკაციის წახალისების საშუალებაა:

ა. არაეთიკური ქცევისთვის სამაგალითოდ დასჯა;

ბ. ეთიკური ქცევისათვის გასაგები გზამკვლევების ჩამოყალიბება;

გ. თანამშრომლების ურთიერთკონტროლის სქემის ჩამოყალიბება;

დ. ყველა პასუხი სწორია.

139. ტექნოლოგიური თვალსაზრისით მენეჯერული კომუნიკაციისთვის ყველაზე მნიშნველოვანია:

ა. IT მიმართულება;

ბ. ქსელური სისტემები;

გ. უკაბელო ტექნოლოგიები;

დ. ყველა პასუხი სწორია.

140. სამუშაო ადგილის დიზაინმა წარმატებით უნდა შეუწყოს ხელი თანამშრომელთა:

ა. კარიერულ წინსვლას და პირადი მიზნების რეალიზებას;

ბ. სამუშაოს სწრაფ შესრულებას და პირადი პრობლემების მოგვარებას;

გ. ფოკუსირებულ სამუშაოს, თანამშრომლობას, სწავლასა და სოციალიზაციას;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

141. მოტივაციის ადრეულ თეორიას მიეკუთვნება:

ა. მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია;

ბ. მაკგრეგორის თეორია X და Y თეორია;

გ. ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორია,

დ. ყველა პასუხი სწორია.

142. მიზნების დასახვის თეორია ვარაუდობს, რომ:

ა. მომუშავე მიზანთან მიმართებაში ჩართულია, მონაწილეობს მის მიღწევაში. მიმართება განსაკუთრებით კარგია, როცა მიზნები საჯაროა, პირს აქვს შინაგანი კონტროლი როდესაც მიზნები თვითონ მან დააწესა და არა დაუდგინეს;

ბ. მომუშავე მონაწილეობს მიზნის მიღწევაში. მიმართება განსაკუთრებით კარგია, როცა მიზნები არაა საჯარო, პირს არ აქვს შინაგანი კონტროლი და მიზნები მისთვის დაწესებული და დადგენილია;

გ. მომუშავე მიზანთან მიმართებაში ჩართულია, მაგრამ არ მონაწილეობს მის მიღწევაში. მიმართება განსაკუთრებით კარგია, როცა მიზნები არაა საჯარო, მხოლოდ მასთანაა შეთანხმებული და მისთვისაა დადგენილი;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

143. სამუშაოს ვერტიკალური ზრდა გულისხმობს შემთხვევას:

ა. როდესაც ხდება სამუშაოს მოცულობის და ხარგრძლივობის ზრდა;

ბ. როდესაც სამუშაოებს ემატება დაგეგმვისა და შეფასების პასუხისმგებლობა– სამუშაოების მრავალფეროვნების ზრდა;

გ. როდესაც ხდება სამუშაოს შემსრულებელთა რაოდენობის ზრდა;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

144. სამუშაოების ჰორიზონტალური ზრდა გულისხმობს:

ა. სამუშაოს შემსრულებელთა რაოდენობის ზრდას;

ბ. სამუშაოს მოცულობის და ხარგრძლივობის ზრდას;

გ. სამუშაოს მოცულობის გაზრდას– სხვადასხვა სამუშაოების რაოდენობის და მათი განმეორების სიხშირის მიხედვით;

დ. ყველა პასუხი არასწორია.

145. სამუშაოს მახასიათებლების მოდელი აღწერს:

ა. სამუშაოების ხუთ ძირითად განზომილებას, მათ ურთიერთკავშირს და გავლენას მომუშავეთა მწარმოებლურობასა, მოტივაციასა და კმაყოფილებაზე;

ბ. სამუშაოების ერთ ძირითად განზომილებას და მის გავლენას მომუშავეთა ეფექტიან მუშაობასა და მათ განვითარებაზე;

გ. სამუშაოების ორ ძირითად განზომილებას, მათ ურთიერთკავშირს და გავლენას მომუშავეთა მწარმოებლურობასა, პროფესიულ განვითარებასა და კმაყოფილებაზე;

დ. ყველა პასუხი სწორია.

146. სამუშაოს მახასიათებლების მოდელი აღწერს შემდეგ ძირითად მახასიათებლებს:

ა. უნარების მრავალფეროვნება და ავტონომიურობა;

ბ. სამუშაოს იდენტურობა;

გ. სამუშაოს მნიშვნელობა და უკუკავშირი;

დ. ყველა პასუხი სწორია.

147. სამართლიანობის თეორიის მნიშვნელოვანი ცვლადი– რეფერენტი არის:

ა. კონკურენტი ფირმის მენეჯერი, რომელიც აფასებს საბაზრო პრინციპების სამართლიანობას;

ბ. სხვა ინდივიდი, სისტემები ან სხვების (რომლებსაც ინდივიდი ედრება) ძალისხმევა, რათა შეაფასოს სამართლიანობა;

გ. დაქირავებული ბროკერი, რომელიც აფასებს ფირმაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას;

დ. ყველა პასუხი სწორია.

148. ვიქტორ ვრუმის მოლოდინის თეორია მოიცავს შემდეგ ცვლადებს:

ა. მოლოდინი;

ბ. საშუალება;

გ. მიმზიდველობა;

დ. ყველა პასუხი სწორია.

149. ვიქტორ ვრუმის მოლოდინის თეორია ადგენს, რომ:

ა. პირის ქმედებები ეფუძნება საკუთარ ინტერესებს და მოლოდინებს, რომლის შედეგებიც დამაზიანებელია დამსაქმებლისთვის;

ბ. პირი მოქმედებს მერკანტილურ საწყისებზე დაყრდნობით და შედეგად აზიანებს დამსაქმებლის ინტერესებს, რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს;

გ. პირი ცდილობს, იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით, რაც ეფუძნება მის მოლოდინს, რომ ასეთი მოქმედება დასრულდება გარკვეული შედეგით და ეს შედეგი მიმზიდველი იქნება პირისთვის;

დ. ყველა პასუხი სწორია.

150. ფრედერიკ ჰერცბერგი ორფაქტორიან თეორიაში მიიჩნევს:

ა. რომ შინაგანი ფაქტორები უკავშირდება სამუშაოთი კმაყოფილებას, ხოლო გარეგანი ფაქტორები– სამუშაოთი უკმაყოფილებას;

ბ. რომ შინაგანი ფაქტორები უკავშირდება წარმოებას, ხოლო გარეგანი ფაქტორები– კონკურენციას;

გ. რომ შინაგანი ფაქტორები უკავშირდება მოგების მიღებას, ხოლო გარეგანი ფაქტორები– გადასახადების გადახდას;

დ. ყველა პასუხი სწორია.

მენეჯმენტი = Management / სტეპან პ. რობინსი, კოულტერი მ.;

- **ISBN:** 9789941136351
- **ფიზიკური აღწერილობა:** 796 გვ.: ილ.
- **გამოცემა:** მეთორმეტე გამოცემა.

- [თბილისი]: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.

ლიტერატურა

1. ლ. გრიგალაშვილი, ზუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; სტუ გამომცამლობა, 2018

2.ლ. გრიგალაშვილი, ფინანსური აღრიცხვა, გეორგიკა, 2014 წ.

3. კოტლერი, ამსტრონგი მარკეტინგის საფუძვლები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015წ

4. რობინსი, კოულტერი მენეჯმენტი, თსუ გამომცემლობა, 2019წ